საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 7 მარტი 1920 წ.

# ერთობა

ფასი 3 მანეთი

ერთ დროს 1 თვით 75 მანეთი, ცალკე ნომერი 3 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე სტრიქონი 5 მანეთი. მეოთხე გვერდზე 4 მან. ხანგრძლივი განცხადებისათვის ზომის 15X2 სტრიქონი მეტრ. 100 მანეთი. [illegible] განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის მისამართი: კონსტიტუციის ქ. 4, [illegible] ქუჩის 3-12-მდე ტელეფონი 16—62

№ 54 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 54

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწუხარე მამა კონსტანტინე [illegible] ძე, დედა [illegible] ალექსანდრა, ძმები სიმონი და კირილე [illegible] მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ულმობელმა სიკვდილმა უდროოდ გამოსტაცა მათ მათთვის დაუვიწყარი [illegible] გიმნაზიის ინსპექტორი

**დავით კონსტანტინეს ძე კალანდარიშვილი**

რომლის დაკრძალვა მოხდება სოფ. ნიგოითში, კვირას, შვიდ მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე. (825 —3)

---

გულდამწვარი მშობლები აგრაფინე თავაძისა და სოლომონ თავაძე (ობოლი მუშა) აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ კვირას, 7 მარტს 12 საათზე დიდუბის ტაძარში გადახდილ იქნება მათი საყვარელი შვილის

**კაკის**

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი. (858 2—2)

---

საქართველოს ექიმის თანაშემწეთა პროფესიონალური კავშირის ცენტრალური გამგეობა ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, რომ 2 მარტს გარდაიცვალა კავშირის საბჭოს თავმჯდომარე და სასიქადულო ამხანაგი

**ალექსი გრიგოლის ძე კოვალიშვილი.**

პანაშვიდები ყოველ საღამოს 7 საათზე. დაკრძალვა კვირას, 7 მარტს, დილის 9 ს., ვერის ნიკოლოზის ეკლესიაში. გამოსვენება — ვარდისუბნის ქუჩა, № 4. (853—2—2)

---

კავკასიის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის მთავარი გამგეობა გულითადი მწუხარებით აუწყებს თავის წევრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 2 მარტს გარდაიცვალა კავშირის წევრი — ექიმის თანაშემწე

**ალექსი გიორგის ძე კოვალიშვილი.**

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 6 ნახ. საათზე. ვარდისუბნის ქუჩა, № 4. გამოსვენება მოხდება საკუთარ ბინიდან — კვირას, 7 მარტს, დილის 9 საათზე. (854—2—2)

---

ქ. ბათუმში 1920 წ. 13 თებერვალს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მეხუთე კლასის მოწაფე

**ნინა ვადაჭკორია**

დაკრძალვა მოხდა 15 თებერვალს, რასაც აუწყებს [illegible] ნაცნობ-ნათესავებს [illegible] ვადაჭკორია. (871 1—1)

---

მწუხარებით გულმოკლული შვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელი და ძვირფასი მამის

**ვანო სუთიაშვილის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, კვირას, დილის 10 საათზე დიღომში. (879 1—1)

---

ღრმად დამწუხრებულნი ძმები ლადიმე (ვალოდია) გალაქტიონ და სოლომონ, დები თეკლე და დარეჯან აუწყებენ ნათესავთ და ამხანაგ მეგობრებს მათთვის ძვირფასი დაუვიწყარი ძმის

**ბარნაბ იულიანეს ძე ურუშაძის**

გარდაცვალებას ქ. თბილისში, დაკრძალვა მოხდება ქ. ოზურგეთში სამშაბათს 9 მარტს მოიდანახეს სასაფლაოზე. გამოსვენება მოხდება დილის 3 საათზე.

---

გულდამწვარი და ნინა იულიანეს ასული, და სიძე [illegible] ძე ჩხარტიშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას ძვირფასი

**ბარნაბ იულიანეს ძე ურუშაძის**

რომლის დაკრძალვა მოხდება სამშაბათს, 9 მარტს ქ. ოზურგეთში მოიდანახეს სასაფლაოზე დილის 3 საათზე.

---

ღრმად დამწუხრებული მაშო ცისეს ასული, ბეჟან ბარნაბის ძე, ალექსანდრა, ნადია და ზინა ბარნაბის ასული ურუშაძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, პირველის ქმრის, დანარჩენების ძვირფასი მამის

**ბარნაბ იულიანეს ძე ურუშაძის**

გარდაცვალებას, დასაფლავება მოხდება ქ. ოზურგეთში სამშაბათს 9 მარტს 3 ს. მოიდანახეს სასაფლაოზე. (880 0—1)

---

ღრმად დამწუხრებულნი ძმები გიორგი და მათე, დები ფილასი და თებრონე და რძალი ელისაბედ კვერნაძეები ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს გარდაცვალებას დაუვიწყარი

**ალფესი ვასილის ძე კვერნაძის**

დაკრძალვა მოხდება კვირას 7 მარტს დილის 12 ს. პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. ცხედარი გამოსვენება ქ ლ. [illegible] 874 1—4

---

ვლადიმერ ივანეს ძე [illegible] აუწყებს ნათესავებს და მეგობრებს, რომ 7 მარტს დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვლილის ექიმ ქალის

**ბარბარე ივანეს ასულის ლაშხაურის**

სულის მოსახსენებლად ქაშვეთის სასაფლაოზე, წირვა დაიწყება დილის ათ ს. პანაშვიდი 12 საათზე (866 1—1)

---

თბილისის საფერშლო სკოლის მოწაფეები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს ექიმის თანაშემწეთა კავშირის საბჭოს თავმჯდომარე

**ალექსი გიორგის ძე კოვალიშვილი!**

გამოსვენება მოხდება დღეს 9 საათზე ბინიდან ვარდისუბნის ქ. № 4, ვერის ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა იქვე. (875—0—1)

---

ნადია კალანდარიშვილი — [illegible] და შვილი რაიკო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ უდროოდ გარდაიცვალა ძვირფასი ბიძაშვილი [illegible] გიმნაზიის ინსპექტორი

**დავით კონსტანტინეს ძე კალანდარიშვილი**

დაკრძალვა დანიშნულია სოფ. ნიგოითში, კვირას, 7 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე (877—0—1)

---

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მეუღლე ალექსანდრა ნიკოლოზის ასული, შვილი ნინა, ძმა ალექსი მეუღლით მეხუზლები, და მარიამ [illegible] მეუღლით, ძმის შვილები მელიტონი, ბორისი, [illegible], ნოე მეუღლეებით, სამსონ და სიმონი მეხუზლები, [illegible] მეუღლით, ცოლის დები [illegible] და ნინო [illegible] აცხადებენ ნათესავთა და ნაცნობთა საყურადღებოდ, რომ კვირას, 7 ამ მარტს ქაშვეთის ეკლესიაში დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარის [illegible]

**იასე რაჭველის (მეხუზლა)**

სულის მოსახსენებლად, დასაწყისი წირვისა დილის 10 ს., პანაშვიდი დღის 1 საათზე. (861—1—1)

---

ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დღეს 7 მარტს 1920 წ. გადახდილი იქნება წლის პანაშვიდი

**სამსონ სიმონის ძე მომცემლიძის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ქვრივი გარდაცვლილისა [illegible] ასული შვილებით და სიდედრი ეკატერინე ივანეს ასული [illegible]. პანაშვიდის დასაწყისი 1 ნახ. საათზე. (883 0—1)

---

გულ დათუთქული მშობლები: ლეონტი [illegible] ძე, მარიამ ალექსის ასული შვილებით; ნიკოლოზი, ლეონიდე და ელენე [illegible], ბებია და ბაბუა ალექსი და [illegible], ბიძია და მამიდა [illegible] დიმიტრის ძე, ოლღა [illegible] ასული [illegible], აუწყებენ ნათესავთ, რომ კვირას, 7 მარტს, ათ საათზე ქუქიის წმინდა ნინოს ეკლესიაში დანიშნულია სამი წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი

**ალექსი (ტოტიკო) ლეონტის ძე ბარაქალაიას**

[illegible] (885—1—1)

---

კვირას, 7 მარტს, ჯიგრაშენის ეკლესიაში (სომხების ბაზარი) გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებიდგან წლის შესრულების გამო მარად დაუვიწყარის და საყვარელის

**იოსებ დავითის ძე ბერუჩაშვილის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ამხანაგებს, განსვენებულის მეუღლე ფილომინე, შვილი დათიკო, რძალი ელენე, შვილის შვილები: კოტიკა და ირინა, დები: მოლოზანი ერმონია და ანნა ლომინიძისა. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე. (876—0—1)

---

უნუგეშონი და ღრმად დაღონებულნი: დედა ელეთი ნიკოლოზის ასული, ძმები: კოწია (კონსტანტინე) და იოსები ფირანის ძენი, რძლები: ქვრივი ვიქტორია მეზისლავის ასული და დომინიკა ერმალოზის ასული, ძმის შვილები: ქეთევანი და გიგი კაკაბაძენი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი და [illegible] ერთად ერთი ქალიშვილი, და, მულა და მამიდა

**მაშიკო (მარიამი) ფირანის ასული კაკაბაძე**

რომლის დაკრძალვა და გამოსვენება დანიშნულია კვირას, 7 ამა მარტს, ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე საკუთარ ბინიდან, მთის ძირის ქუჩა (პოლიგონი), სახლი მიხაილოვისა, საიდანაც [illegible] განსვენებულის. კერძო წერილები არ დაიგზავნება. პანაშვიდები ყოველ დღე 6 საათზე საღამოს.

---

## სახელმწიფო თეატრი

**სამშაბათს 9 მარტს**

ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება წელს პირველად ცნობილი ზღაპარ ფეერია, ი. გედევანიშვილის I ნაწილი.

## სინათლე

7 სურ.

**მონაწილეობას მიიღებენ: სახელმწიფო თეატრის ორკესტრი, ხორო და ბალეტი ვაკარეცის ხელმძღვანელობით.**

სახიობნი: აბაშიძე ე., ქიქოძე მ., ციმაკურიძე ელ., ანჯაფარიძე ა., ჩხეიძე ა., მაჭავარიანი ნ., ნინოშვილი; გამყრელიძე გ., ქიაჩელი მ., ციციშვილი ნ., ფრანგიშვილი პ., ლომბაშიძე შ., მიტარაძე ვ., ქივიძე ი., ფასაძე ა., სარჩიმელიძე გ., სარაული მ., ნიგუნავა ნ., საფარიძე ზ., თარალაშვილი და სხვა.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

დასაწყისი 7 ნახ. საათზე. (6. 3—2)

---

კვირას 7 მარტს, მეოთხე რაიონის მუშათა კლუბში

**გორში დაღუპულ ბავშვებისათვის** წარმოდგენილი იქნება:

**1. ალ-ქაჯი 2. შევარდენი 3. ცეკვა**

იმედია ყველა ბავშვები ძვირფასი ხელს გამოუწვდიან და არ დაიშურებენ თავიანთ წვლილს, აგრეთვე მოუწოდებენ ყველა რაიონის ბავშვებს მათაც გამართონ ასეთი წარმოდგენები და გადასცენ შემოსავალი ჩვენსავით პატარა ობლებს. შესვლა 5 მან. დასაწყისი დილის 12 საათზე. (ფ. 1—1)

---

## მეორე ქართული კლუბი

(პლეხანოვის პროსპექტი, № 129).

კვირას, 7 მარტს, 1920 წ.

## წლიური საზოგადო კრების

გაგრძელება. დასაწყისი დილის 10 საათზე. (6.—0—1)

---

## გამოვიდა და იყიდება

ჟანის ახალი წიგნი

## რა უნდა იცოდეს ყველამ

(კითხვა-პასუხი კონსტიტუციური კითხვებზე)

წიგნი ღირს ექვსი მანეთი. გამოწერა შეიძლება „ერთობის“ რედაქციიდან. (—0—2)

---

## მუშათა კლუბი

(პლეხანოვის პროსპექტი 128)

**კვირას, 7 მარტს, 1920 წელს**

სახალხო მომღერალ მგალობელთა გუნდი

*მიხ. კავსაძის* ლოტბარობით

გამართავს 1-ლ სახალხო

## კონცერტს

4 განყოფილებად.

მონაწილეობას მიიღებენ ახალგაზრდა სახალხო მომღერალნი: ლ. ჯანდიერი, ვ. ცალქალამანიძე, ქ. ინასარიძე, ივ. ფუტკარაძე, ა. შანშიაშვილი და სხვ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. დაწვრილებით პროგრამებში.

ბილეთები იყიდება. გამგე ნ. ლაზარიშვილი.

ა ნ ო ნ ს ი: 10 მარტს, გაიმართება მეორე კონცერტი მეორე ქართულ კლუბში. (860—2—2)

---

## გავხსენით ევროპიული ტანსაცმლების

## სამკერვალო

ვღებულობთ საკერავებს. შეკვეთილებს ვასრულებთ სინდისიერად, თავის დროზე და შეღავათიან ფასებში. მისამართი: ქ. თბილისი, ვერის დაღმართი, კუთხის მაღაზია № 8, მოაჯირის პირდაპირ. პატრონი ცირეკიძე. (732 4—4)

---

## საქართველოს კოოპერატიული ბანკის

საორგანიზაციო კომიტეტი აუწყებს ბანკის აქციონერებს, რომ, ამ წლის 14 მარტს ქ. თბილისში, ცენტრალური კოოპერატიული კავშირის შენობაში (კოოპერაციის ქუჩ. № 15) დილის 10 საათზე დანიშნულია საქართველოს კოოპერატიული ბანკის აქციონერთა პირველი

## საზოგადო კრება

დღის წესრიგი 1) მოხსენება საორგანიზაციო კომიტეტისა, 2) საქციონერო თანხის გადიდება, 3) წესდების 49 მუხლის შეცვლა, 4) ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება. 5) გამგ. და საბჭოს არჩევნები. 6) მიმდინარე საკითხები. წესდების 45—50 მ. ძალით ყოველ კოოპ. დაწესებულებას, რომელსაც აქვს ორი აქცია, უფლება აქვს დაესწროს საზოგადო კრებას გადამწყვეტი ხმის უფლებით. ბანკის აქციონერს შეუძლიათ ხმის უფლება გადასცენ სხვა აქციონერებს, რომელთაგანაც არავის არ შეუძლია ორზე მეტი რწმუნება იქონიოს. რწმუნება ხმის უფლების გადაცემის შესახებ ეძლევა წერილის ფორმით, რომელიც უნდა წარმოდგენილ იქნეს სამი დღით ადრე საზოგადო კრებამდე. (6. 2—2)

---

15 მარტიდან გამოვა თბილისში ყოველ-კვირეული სალიტერატურო და საოხუნჯო ქართული ჟურნალი

## „ხათაბალა“

რედაქცია მოუწოდებს [illegible] მწერლებს მიიღონ მონაწილეობა ჟურნალში და გამოგზავნონ მასალები. დროებითი მისამართი: თბილისი, კალოუბნის ქ № 14, თეოფილე ხოლქვაძეს. (744 3—3)

---

პირველი ქართული კინო-დრამა გადაღებული ქ. თბილისში შესრულებული ადგილობრივი მსახიობების მიერ

კინემო
„მინიონი“
მ/წ მარტის
7, 8, 9 და 10-ში

## ქრისტინე

კინო-დრამა 4 მოქმედებათ **ეგ. ნინოშვილის** რომანიდან გადმოღებული.

დადგმა და ინსცენიროვკა რეჟისორ ალ. **წუწუნავასი**.

**დაწვრილებით** იხილეთ ხვალ განცხადებებში და აფიშებში

(884—3—1)

---

ექიმი ნ. ი. [illegible] იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქუჩა № 22, სოლოლაკი. (6.—ო.)

---

## როგორი თანამშრომლობა?

სამოქალაქო ომის ასპარეზზე დიდი ხანია გამარჯვება გადავიდა ბოლშევიკებისკენ. კოლჩაკი აღარ არსებობს, და, როგორც გვატყობინებენ უცხოეთის გაზეთები, ვეღარც იარსებებს. ის მოშორებული უნდა იყოს ამ წუთისოფელს. აღარ არსებობს არც ჩრდილოეთის სამხედრო ძალა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. დარჩა დენიკინი, და ისიც მოიწევს თან და თან უკან. ის დგას ახლა ყუბანის კარებთან. იქაური ყაზახობა იბრძვის თავისუფლებისთვის. ეს ბრძოლა უნდა გათავდეს ან მისი სიცოცხლით, ან მისი სიკვდილით.

თავდაცვითი ბრძოლა ყაზახობას უხდება დენიკინთან თანამშრომლობით. ამაშია დიდი პოლიტიკური ტრაგედია მთელი სამხრეთ რუსეთის დემოკრატიის. დენიკინმა დაანახვა თავისი ნამდვილი სახე ამ დემოკრატიას. მისი საქმიანობა გაშორდა იმ დიდ დემოკრატიულ სიტყვებს, რომლითაც ის პირველად გამოვიდა ბოლშევიკების წინააღმდეგ. დენიკინმა თავის სამხედრო-

# დღეს

უმაღლესმა საბჭომ განიხილა მარშალ ფოშის მოხსენება იმ სამხედრო ზომათა შესახებ, რომელთა მიღებასაც ოსმალეთში აპირებენ.

უმაღლესი საბჭოს ლონდონის სხდომები დამთავრდა. საბჭო სხდომებს აპრილში განაახლებს.

ბოლშევიკების ცნობით საბჭოთა ჯარმა ტიხორეცკაიას მიმართულებით სად. კუშჩევსკაია დაიკავა.

---

ვან დროშაზე დაწერა დამფუძნებელი კრება და მოქალაქეობრივი თავისუფლება. ამ გარეგნული მიმზიდველობით მიიზიდა პირველათ სოციალისტური და დემოკრატიული წრეები — ლენინთან საბრძოლველად.

გამოჩნდა შემდეგ, რომ ახალი ღვინო ძველ ტიკებში იყო ჩასხმული. ახალი ლოზუნგები დენიკინმა მოიხმარა საგარეო ტანსაცმელათ. საშინაოთ კი ის დარჩა, რაც იყო იმ მეფის დროს, რომელსაც რევოლუციამდის ემსახურებოდა ერთგულათ. მის გარშემო თავი მოიყარეს არმიიდან ამოღებულმა ძველი დროის რაინდებმა. ეს რაინდები ვაიძახდნენ,—მალე მოვსპობთ ბოლშევიკებს და მერე შევუდგებით რუსეთის წყლულებს, არ გავუშვებთ არავის რომლის კარიდან ლენინამდისო.

სამხრეთ რუსეთის ყაზახობამ იგრძნო ხიფათი და პოლიტიკური ომი გამოუცხადა თავის მოკავშირეებს. ამ ომში ყაზახებმა გამოიჩინეს მეზობელ ოლქებთან შედარებით მეტი სიმწიფე და გამბედაობა.—ჩვენ არ მივდევართ, არც წინადადება რუსეთის დასაპყრობათ, ჩვენ გვინდა ახალი რუსეთი თავისუფალ ნიადაგზე აშენებული, აშენებული ქვემოდან ზემოთ და არა ზემოდან ქვემოთო.

დენიკინი და ყაზახობა ერთად იყვნენ ბოლშევიკების საწინააღმდეგო ფრონტზე, ერთმანეთს ებრძოდნენ ფრონტის აქეთა მხარეზე.

ჩვენ ვიცით რაგვარ ისარგებლეს ამით ბოლშევიკებმა. ახლა აღარ არსებობს იქ ფრონტის აქეთა მხარე. ახლა ყაზახობის მიწა წყალი გადაიქცა ფრონტათ. უკანასკნელ წუთს სცადეს დენიკინი მოეშორებინათ თავიდან, ან სულ დაემორჩილებინათ, როგორც ბოლშევიკებმა დაუმორჩილეს თავის პოლიტიკას და გამოიყენეს დაცემული მეფის სარდლები.

ყაზახობის დემოკრატიას არ მოუხერხდა არც ერთი და არც მეორე. დენიკინი, როგორც გამოცდილი სამხედრო ძალა, ადვილათ იმორჩილებს ყაზახობას. წინა სიტყვა ამათ დიდ ყრილობაზე გამჟღავნებული იყო რწმენით, დაუფიქრებლობით, ყოყმანობით.—მე ვიბრძვი რუსეთის გულისათვის და სამთავრობო ფუნდამენტისათვის,—ეუბნებოდა ის ყაზახებს,—მე წავალ აქედან და ჯარსაც თან წავიყვან, თუ შემეცილებით პოლიტიკურ გავლენაში.

ამ სიტყვებიდან აშკარათ სჩანდა, რომ დენიკინს სწამს მარტო დენიკინის რუსეთი, სწამს მარტო ის სამშობლო, სადაც თითონ ხელში ექნება მთავარი ძალა.

შემკრთალი ყაზახობა შეჩერდა, შედგა დათმობის გზაზე. მოხდა კომპრომისი, შეურიგებელთა შერიგება. ერთი მხარე ამბობდა, ჩემ საზღვრებს იქით არ მსურს ვებრძოლო ბოლშევიკებსო. მეორე მხარე ეუბნებოდა, ბოლშევიკებს უნდა ვსდიოთ მოსკოვამდის, და ვებრძოლოთ, სანამ სულ არ დავამარცხებთ. ერთი მხარე ამბობდა მთელი პოლიტიკური მართვა გამგეობა უნდა დარჩეს ხალხის წარმომადგენლებსო. მეორე ეუბნებოდა—ეს უფლება უნდა ეკუთვნოდეს მარტო მთავარსარდალსო.

გარეგნულათ შერიგება მოხდა ვითომ ყაზახობის სასარგებლოთ. ძველი განსაკუთრებული „თათბირის" მაგიერათ ახლა იქნება სამხრეთ რუსეთის პარლამენტი და მის წინ პასუხის მგებელი სამინისტრო. მაგრამ ომიანობის დრო მოითხოვს საჩქარო განკარგულებებს კანონ-მდებლობის სისწრაფეს. ეს უფლება კი ძველებურათ რჩება დენიკინს. არსებითად დარჩა ის, რაც იყო ამ შერიგებამდის. შერიგება ყაზახობის სასარგებლოთ მოეწყო გარეგნულათ, დენიკინის სასარგებლოთ—ფაქტიურათ. ბოლშევიკების შიშმა გამოიწვია ყაზახობის მხრივ ამნაირი დათმობა. მაგრამ ის კარგათ ხედავს, რომ აქ ხსნა არ არის. ის ამიტომ ეძებს ახალ მეზობლებს, ახალ მოკავშირეებს, და პირი ჩვენსკენ აქვს მობრუნებული.

საქართველოს სამხრეთ რუსეთის ოლქები მეგობრული თვალით უყურებდნენ დღემდისაც. სულაც არ იზიარებდნენ დენიკინის ჩვენთან მტრულ განწყობილებას, მისი ჩვენ წინააღმდეგ გამოლაშქრება მისგან გამოცხადებული ეკონომიური ომი, საქართველოს გარშემო გზების შეკვრა,—ყველაფერი ეს ხდებოდა დენიკინის განკარგულებით. ყაზახობა არ ყოფილა ამისი მომხრე, არც თანამგრძნობელი.

ზნეობრივათ ეს ოლქები ნებას აქვთ ჩვენ დემოკრატიულ მთავრობასთან კავშირი დაიჭირონ. სამწუხაროთ, ნება არა აქვთ პოლიტიკურათ. [illegible] თითონ ამბობდნენ და ახლაც ამბობენ, რომ ბოლშევიკებთან ბრძოლა ჩვენ გვსურს მარტო დემოკრატიის გასამარჯვებლათ. დენიკინი კი უფრო ბოლშევიკების გამარჯვებას უწყობს ხელს. აქ კავშირის შესახებ მოლაპარაკება მოითხოვს იქ კავშირის შეწყვეტას. ეს აზრი უნდა შეითვისოს ყაზახობის დემოკრატიამ სიტყვით და საქმითაც.

მაშინ შეიძლება აქედან იქ დაიქროს აქ მეგობრული ძალების გაზმა. მაშინ შეიძლება მოეწყოს ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობა. იქნება საერთო კიდევ რამოდენიმე გამარჯვება ბოლშევიკების მხრივ, რომ დენიკინი მოიშორონ როგორც ხელმძღვანელი და თანამშრომელი.

ბოლშევიკებთან წინააღმდეგ ბრძოლის გულზე ჩვენ გვწამს მარტო წმინდა დემოკრატიული ძალების და მთავრობების თანამშრომლობა.

# ბოლშევიზმი, მუსტაფა ქემალ ფაშა და სერვერ ბეგი.

ჩვენთვის, საქართველოს დემოკრატიისათვის, განსაკუთრებით ყურადსაღებია, თუ რას აკეთებენ, რას ფიქრობენ ოსმალეთის და საერთოდ მუსულმანი ნაციონალისტები, ვინაიდან—სამუსულმანო აღმოსავლეთის დასავლეთ ევროპასთან მომავალი ბრძოლის ერთ ერთი ასპარეზათ, შესაძლებელია, ჩვენი პატარა ქვეყანაც გადაიქცეს.

ამას გვეუბნება ისტორიული წარსული, ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობა…

მუსტაფა ქემალ ფაშა რომ ცოცხალია, რომ ის იბრძვის, ეს ამას წინად კმაყოფილებით აუწყა ქვეყანას ადგილობრივი ბოლშევიკების არა ლეგალურმა „კავკასკაია პრავდამ".

ოსმალური ნაციონალიზმის მეორე ბელადი, სერვერ ბეგიც რომ ცოცხალია, რომელიც პირდაპირ ებრძოდა და ებრძვის საქართველოს,—ამას გვაუწყებს თვით სერვერ ბეგი.

ჩვენ ხელთ არის მისი წერილი, სტამბოლიდან მოწერილი („ხალყმათან" გრათად ის იუწყება, რომ „ყარს-ბათუმმა და ახალციხე-ართვინმა თურქებთან ერთად უნდა იარსებონ, ან დამოუკიდებლობა უნდა მოიპოვონ"-ო.

სერვერ ბეგი, რომელმაც საწყალ ხალხს გასულ წელს უბედურება დაატეხა თავს თავისი ტყუილებით კვლავ განაგრძობს ძველის გზით სიარულს. ის აუწყებს ხალხს „დიდებული ფადი შაჰის დადგენილებას", რომ „მათ ხმა არ მისცენ არც ქართველებს, არც სომხებს". და თუ ამ „ურჯულოებს" მისცემთ ხმას, „თქვენ მუსულმანების და ფადი შაჰის მოღალატენი იქნებითო".

უფრო საყურადღებოა „სამხრეთ დასავლეთ ცენტრალური კომიტეტის" მუშაობა.

„სამხრეთ დასავლეთ კავკასიის მუსულმან ერებს (მუსულმანებს) ეს კომიტეტი პროკლამაციით აუწყებს, თუ როგორ გაჰყიდეს ზოგიერთმა პირებმა სამუსულმანო საქართველო, როგორ მიჰყიდეს ის საქართველოს.

„[illegible] ადამიანებმა ხალხის სახელით საქართველოს მიაწოდეს ჩვენი ქვეყანაო"-ო.

კომიტეტის აზრით, ეს შეუძლებელია, ვინაიდან „მუსულმანები მაღლა იდგნენ და მომავალშიაც მაღლა იდგებიანო".

მეორე ფურცელში „კომიტეტი" მიმართავს „ბათუმის, ყარსის, არდაგანის, ოლთისის, ყაგიზმანის, [illegible] და მთელ დასავლეთ-სამხრეთის კავკასიის მუსულმანებს".

ეს ფურცელი შეიცავს იმის დასაბუთებას, თუ რათ უნდა ჰქონდეს ყველა პატარა ერს თვითგამორკვევის უფლება.

„თავისუფალი ხალხი—სწერს კომიტეტი—ერთპირულად ცდილობს და პატარა ერთეულების შედგენით უნდა ერთიანი მთავრობა შექმნას. მაგალითად,—ჩვენმა მეზობელმა აძერბეიჯანმა დიდებული მუსულმანური მთავრობა შეადგინა, არავითარი ისტორიის არ მქონე, [illegible], ჩინგიზ ხანის ხალხმა დიდი სომხეთის შექმნა მოინდომა. ქართველი ხალხი ცდილობს რკინის ჯაჭვებით შეაბოჭოს ჩვენი ლომის მსგავსი ხალხი, თუმცა ამის არავითარი უფლება არა აქვს მას და ამ რკინის ჯაჭვებს არ აკმარებს მას და იმ პირებს, ვისაც კი იმედი ჰქონდა ჩვენს მუსულმანებზე, წინ შეესწრაფა ფულით [illegible]".

შემდეგ ფურცელში სწერია:

„ჩვენმა ბეგებმა და ფაშებმა თავიანთი სახელი წითელ ოქროში გასცვალეს"…

„ჩვენს კისერზედ მონობის ჯაჭვები წამოგვცვეს თითო მუჭა ურჯულოების მიერ დაბნეულ ოქროების წყალობით".

„ოჰ, ღმერთო, დედამიწაზე მყოფი სამასი მილიონი მუსულმანი, მამაპაპის მორწმუნე, ნუ-თუ ჩვენ ვართ ყველაზედ უღირსნი, უძლურნი"…

მოვიყვანეთ ამ დღეებში ადგილობრივი ბოლშევიკების გამოცემული ფურცლების შინაარსი ბათუმის, სამუსულმანო საქართველოს ბეგების „მისიის", ბათუმის ოლქის თვითგამორკვევის შესახებ და შევადარეთ კავკასიის კომიტეტის პროკლამაციებს და დავრწმუნდებით, რომ მათ შორის არავითარი განსხვავება არ არის…

# ოსმალეთის ზავი და ბათომი

გუშინ რადიო-ტელეგრაფმა გადმოგვცა ფრანგულ პრესის ცნობები ოსმალეთის ზავის შესახებ. ამ ცნობებიდან ნათლად სჩანს საზავო კონფერენციის სრული უძლურება. უმაღლესი საბჭო არსებითად ალიარებს, რომ მას არ ძალუძს ფაქტიურ ურთიერთობის შეცვლა, ის ადასტურებს იმას, რაც არის სინამდვილეში. კონსტანტინოპოლი ოსმალეთის ხელში რჩება; არაბეთის ვილაიეთებს დამოუკიდებლობა, სირიას—ავტონომია, რომელიმე ევროპიულ სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ; ქალაქი სმირნა საბერძნეთის უშუალო კონტროლს იქვემდებარება, ხოლო კილიკიაში ოსმალო გუბერნატორის გვერდით ინიშნება ფრანგი ადმინისტრატორი, როგორც მრჩეველი პირი.

ამგვარად ბოლო ეღება სომხურ და ბერძნულ პროექტებს ოსმალეთის დანაწილების შესახებ. ოსმალეთი დიდი ომიდან გამოდის არა დანაწილებული და დაუძლურებული, არამედ განახლებული და განმტკიცებული: არაბებით დასახლებული პროვინციები და სირია მუდამ მღელვარების და აჯანყების ასპარეზი იყო, ამ ნაწილების ამპუტაცია გააჯანსაღებს „ევროპის ავადმყოფ ადამიანის" სხეულს.

როგორ მოხდა ეს? რატომ გადაურჩა ოსმალეთი ასე ადვილად ზავს, რომელიც პირდაპირ განმანადგურებელი იყო მისი მოკავშირეების, გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთისათვის?

ერთი მიზეზი ზოგადი ხასიათისაა. განუვითარებელი სხეული უფრო ადვილად იტანს კრიზისებს, რომელიც ხშირად მომაკვდინებელია რთულ ორგანიზმისათვის. ანტანტას ოსმალეთის წინააღმდეგ არ შეეძლო იმ იარაღის ხმარება, რომელმაც ჩქარა მოსპო გერმანია და ავსტრია-უნგრეთი: რკინის გზებისა და სამრეწველო ცენტრების ოკუპაცია, ბლოკადა, საგარეო ბაზრების დაკეტვა და სხ.

მეორე მიზეზი უფრო სპეციალური ხასიათისაა. ფრანგულმა პრესამ, სხვათა შორის „ტანმა", ამას წინად აღიარა, რომ ანტანტის დიპლომატიამ გამოუსწორებელი შეცდომა ჩაიდინა 1918 წ. ოქტომბერში, როცა ოსმალეთთან წინასწარი ზავი შეჰკრა.

მუდროსის კაპიტულაციის შემდეგ გენერალ ფრანშე დესპერეს, რომელიც სოლუნიკის არმიას მეთაურობდა, გადაწყვეტილი ჰქონდა, კონსტანტინოპოლის დაჭერა. ამ მიზნით მან შეადგინა კიდეც სამი დივიზია, რომელსაც ინგლისელ გენერალ მილნის მეთაურობით უნდა მოეღო გალიპოლის ჯარი, შემდეგ დაეპყრო დარდანელის ნაპირები და ბოლოს მოკავშირეების ფლოტთან ერთად კონსტანტინოპოლში შეჭრილიყო. მაგრამ გენერალ მილნმა ვერ მოასწრო მარიცის გადალახვა, რომ ოსმალეთის მთავრობამ ანტანტას ზავი შესთავაზა. იმ ხელშეკრულების მიხედვით, რომელიც 30 ოქტომბერს ერთის მხრით ინგლისელ ადმირალ კალტორპსა და მეორე მხრივ რაუფ ბეისა, რეშიდ ჰიქმეტ ბეისა და სადულა ბეის შორის დაიწერა, ოსმალეთი ვალდებული იყო ფლოტის დემობილიზაცია მოეხდინა და განაპირა პროვინციები (მათ შორის ბათომი) დაეცალა, მაგრამ უფლებას იტოვებდა ჯარის ყოლისა „საზღვრების და შინაური წესიერების დასაცველად". ამგვარად ოსმალეთს ჩამოართვეს ბათომი, ალექსანდრეტტა, ტრიპოლი, იემენი, მაგრამ დაუტოვეს წინანდელი არმია და სამხედრო მასალა.

ამის შემდეგ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. დამშვიდებული ოსმალოს ნაციონალისტები თანდათან გონს მოეგნენ. გასულ წლის აგვისტოში მათ კონგრესი შეკრიბეს არზრუმში, აქ მათ მუსტაფა ქემალ ფაშის მეთაურობით შეადგინეს კომიტეტი, რომელმაც მცირე აზიის ადმინისტრაცია დაიმორჩილა და რომელიც არ სცნობდა კონსტანტინოპოლის ფაქტიურ მთავრობას. 25 სექტემბერს ნაციონალისტების ჯარი შევიდა კონიაში; ოქტომბრის პირველ რიცხვებში ის კონსტანტინოპოლის კარებს მიუახლოვდა. მაშინ დამად ფერიდის მთავრობა გადადგა და კაბინეტი შეადგინა ალი რიზამ, რომელიც ჯემალის შემწეობით იძულებული კონტაქტში იმყოფებოდა ნაციონალისტების მეთაურებთან.

ამის შემდეგ ანტანტის პრესამ ტონი რადიკალურად შეიცვალა. სხვათა შორის „ტანმა" დაიწყო მტკიცება, რომ უმჯობესია შეთანხმება კონსერვატიულ ოსმალოს ნაციონალისტებთან, ვიდრე ყოველი ტრადიციების მტერს ლენინთან. ამას აშკარად არ ამბობდნენ, მაგრამ შეიძლება გულისხმობდნენ, რომ ანტანტისა და ოსმალეთის შეთანხმება არსებითად შეიძლება მხოლოდ ყოფილ რუსეთის ხარჯზე მოხდეს ე. ი. ამიერკავკასიის რესპუბლიკების საზარალოდ.

არ შეიძლება ითქვას რომ ანტანტა მტკიცეთ ადგეს ამ ახალ პოლიტიკურ კურსს. მაგრამ ჩვენთვის სახიფათოა ინგლის საფრანგეთის მერყევი პოლიტიკაც. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ანტანტა უშუალოდ ბათომს ოსმალეთს არ გადასცემს. მაგრამ ადვილი შესაძლებელია, რომ ოსმალური ნაციონალიზმის გაფართოების წყალობით ბათომის ოლქში მდგომარეობა ისევე გართულდეს, როგორც ბოლო დროს კილიკიაში გართულდა. ჩვენ არავითარი გარანტია არ გვაქვს, რომ ერთს მშვენიერ დღეს, შინაგანი კრიზისის ან უმაღლეს დიპლომატიურ მოსაზრებების გამო ინგლისის ჯარი ანაზდეულად ბათომს არ მიატოვებს. და მაშინ ჩვენ საქმე გვექნება გამტკიცებულ და თავმოყრილ ოსმალურ ჯართან, რომლის წინააღმდეგობა მაჰმადიანურ აჭარაში ჩვენთვის დიდათ სახიფათო იქნება მით უმეტეს თუ ანგარიშს გავუწევთ ჩვენი პრესტიჟის თანდათან დაცემას, რომელსაც მაჰმადიან ქართველებში ჩვენი გაუბედაობა და ლაყოფობა გამოიწვევს…

თავის-თავათ ცხადია, რომ ბათომის დაკარგვა ქართველ ერისთვის ყოვლისფრის დაკარგვას ნიშნავს. [illegible] სადავო არ არის, თუ ბათომის ოლქი არ შემოგვიერთდა, დასავლეთ საქართველო ხელახლა გადაიქცევა იმათ, რაც მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეში იყო: ოსმალეთის ვასალად. მაშინ აზრი დაეკარგება უმაღლეს საბჭოს უკანასკნელ აქტს: საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას de facto და სხ.

ასეთ პერსპექტივას წინაშე რისკის გაწევა აუცილებელია. ურისკოთ არავითარი კეთილი პოლიტიკაში.

# ბოლშევიკების გეგმები

(ოფიციალური).

ბოლშევიკებსა და ოსმალეთის აგენტების გაერთიანებული კომიტეტის დადგენილებიდან ამონაწერი, რომელიც მიმართულია კავკასიის ხალხთა კომიტეტის კომუნისტურ პარტიისადმი დაწერილია საზღვარზე. (დედანი მთავრობის საიდუმლო პირთა ხელშია).

ბოლშევიკების სხდომაზე დასმული იყო განსახილველად საკითხი გამოსვლის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ ქართველები შემოგვიტევენ. დაესწრნენ: კომიტეტის სამი წევრი, ოსმალეთის ჯარის პოლკოვნიკი სულეიმან ეფენდი, ართვინელი აფხაზი, ერთი რუსი მოსაზღვრე ოფიცერი ერთი ინჟინერი… რაზნკი… ვისტოვგი და სხვები… დაევალათ თფილისში გაგზავნილ კომიტეტის წევრისათვის (რომელიც გამოსვლის მომხრეა) რომელსაც მოხსენება უნდა გაეკეთებინა. დასახული იყო ორი ვარიანტი: 1) რუსეთის ორგანიზაციების მიერ მუსულმანთა კომიტეტის დახმარება. მთელი… ყოფაქცევა… ალექსი სამოსტოიატელნიკი გამოსვლა არ იქნება მოწყობილი ინგლისის მოქმედება დაგვიმიდ და აჭარლების ერთხელ მოსწრაფება წაქეზებული იქნება. მე 2). დამოუკიდებელი გამოსვლა. ამ შემთხვევაში ბათუმის ოლქი იყოფა 6 რაიონად. თითეული რაიონის სათავეში სდგას პასუხისმგებელი ხელმძღვანელი. მოსაზღვრე ადგილებში, იქნება სულეიმან ეფენდი ქედის—ართვინელი აპარელი. ქალაქში ამხანაგი ალექსი, აჭარაკებში და ქობულეთში მოსაზღვრე ოფიცერი. გამოსვლა იქნება 2 დღის შემდეგ ქართველთა გამო ვლისა. (დაახლოვებით სისწორით ნაჩვენები იქნება მოწყობაში.) რაიონთა ხელმძღვანელები მიიღებენ რა მოწოდებას, დაუყონებლივ გაავრცელებენ მას აჭარელთა შორის და საქმის წაყვანის თითებებს. მოსაზღვრე რაიონს კავშირი ექნება ქედასთან და დანიშნულ დღეს ოსმალთა ჯარები სამი ათასი ასკერი, 300 ცხენოსანი, ორი სამთო ბატარეის და ერთი მორტირის შემადგენლობით გადმოვლენ საზღვარს და ბათუმისკენ შემოუტევენ. ამას გარდა, მოსაზღვრე რაიონის ხელმძღვანელი მოაწყობს ქედის რაიონს იარაღსა და პატრონებს. გამოითქვა სურვილი ქემალ ფაშასთან კავშირის დაჭერის შესახებ. ქედის რაიონში აწყობს ჯარებს ოსმალო ოფიცრების წინამძღოლობით და ერთად ბათუმის ოსმალთა ჯარებთან ერთად. პირდაპირი კავშირი აქვთ კომიტეტთან. იარაღს იღებულობენ მოსაზღვრე რაიონებიდან. ბათუმის საქალაქო რაიონი ემორჩება ამხ. ალექსის. იგი კომიტეტთან პირდაპირი კავშირით იმოქმედებს. საგარაკო რაიონი მიიღებს მასალას ბათუმიდან, რისთვისაც გაგზავნილი იქნება დანიშნულ ადგილას ორი რწმუნებული. ქობულეთში ეწყობა რაზმი საქართველოსთან დამოკიდებულების შესაწყვეტათ. მასალის მიწოდება მოხდება ავტომობილებით. გაგზავნილი იქნება ორი ტყვიის მფრქვეველი. ეხლა ისინი ქედაში ინახება. რამდენიმე ადგილას მოწყობილი იქნება შარა-გზებზე სროლა. ტყვიის მფრქვეველები იქნება სიბირიაკოვისა და პასეკის აგარაკებზე, კავშირი იქნება კომიტეტთან. ქობულეთის რაიონი აწყობს პარტიზანთა რაზმებს მოსაზღვრეთა წინამძღოლობით. იარაღს იღებულობენ საგარაკო რაიონიდან. კავშირი იმგვარივეა. ქობულეთის პარტიზანები აფეთქებენ გვირაბს, აფუჭებენ გზებს და აფერხებენ მიმოსვლას. აი დაახლოვებით კომიტეტის გეგმები. თვით კომიტეტში იგრძნობა დიდი უთანხმოებაა. ამ დღეებში ალბათ სამზადისი იქნება სხდომა საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად.

არაფერი ახალი არ არის. გუშინ თვითონ J-მ მიმართა მატიუს უნდა მიიღოს თუ არა მან ზომები ქართველ მუსულმანთა კომიტეტის აგენტების წინააღმდეგ, რომლებიც აგიტაციას ეწევიან. მატიუსმა ამაზე ხელი ჩაიქნია, მეტი არაფერი არა სთქვა. გუშინ მოლის და ბოლოს მე შევძელი წამეკითხა მოხალისეთა ჯარის ის მოწერილობა, რომლის შესახებაც მე თქვენ გატყობინებდით. მისი შინაარსი ასეთია: სამხრეთ რუსეთში მომქმედ შეიარაღებულ ძალთა სარდლის მთავარი შტაბის სამხედრო განყოფილების ცნობით მთელი ყოფილი რუსეთის ტერიტორიიდან წასვლა გადაწყვეტილია და კერძოთ გადაწყვეტილია ბათუმიდან მათი წასვლა. ბათუმი უნდა გადავცეს ქალაქის თვითმართველობას (და არა საქართველოს). როგორც მე წინად გატყობინებდით საქართველოს მფარველობის ქვეშ. ამიტომ მისიას წინადადებას აძლევენ მოლაპარაკება გამართოს ადგილობრივ ეროვნულ საბჭოსთან იმ მიზნით, რომ ქართველებს ხელი შეუშალონ ბათუმზე თავის გავლენის დამყარებაში (ეს წინადადება სიტყვა სიტყვით არის დედანში და მიიღონ ყოველგვარი ზომა, რათა ხელი შეუშალონ საქართველოს ბათუმის დაპყრობაში, სხვათა შორის, ქალაქში დაჟინებით დადის ხმები, რომ საქართველო ბათუმზე უარს აცხადებს. ბოლშევიკებმა გამოიანგარიშეს ძალთა განწყობილება, რომელიც ცნობის მიმწოდებელმა კომიტეტში იაჩეიკებიდან შეიტყო. ოლქში კომუნისტი 28 კაცია. თანამგრძნობი 2000—3000, აქედან საიმედო 400 კაცამდეა. ბათუმში კომუნისტები 352, თანამგრძნობი მუშები 1400—1600. ინტელიგენცია 200—300. საიმედო: მუშები—1000, ინტელიგენცია 50—100 გადატრიალების მოწყობისათვის მათის ანგარიშით საჭიროა 750 კომუნისტი, თანამგრძნობი 3000 საიმედო 3000. კომიტეტის წევრი თფილისიდან ჯერ არ დაბრუნებულა. სხვათა შორის, ჩემს მიერ თქვენდამი გამოგზავნილ მუსულმანთა საბჭოსადმი განცხადების პირისა, იმათ გაუგზავნეს მეორე განცხადება იმ მოთხოვნილობით, რომ უარყონ ხმები ბათუმის საქართველოსადმი გადაცემის შესახებ. ორივე მიმართვა სასწრაფოდ გადათარგმნილ იქნა კოკ - კოლისათვის. ინგლისელების ამისადმი დამოკიდებულება ჯერ კიდევ გამოურკვეველია. გუშინ სხვათა შორის მე გავიგონე 96—75 ინგლისის ბრიგადების ბათუმში მოსვლის შესახებ. ნაწილი თითქოს უკვე მოსულია და გადმოყავთ. რამდენათ მართალია არ ვიცი. ორშაბათს შემოვივლი. (საქ. დიპ. სააგ.)

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

6 მარტი.

**ფრანგული პრესის ცნობები.**

**რკინის გზებზე.**

რკინის გზებზე მუშაობა ნორმალურ კალაპოტში ჩადგა.

**სესხი.**

შეერთებულ შტატებში საფრანგეთის სესხზე ხელის მოწერით ჯერ-ჯერობით შეკრებულია 27 მილიონი ფრანკი.

**ოსმალეთის საკითხი.**

უმაღლესი საბჭოს სხდომამ ოთხშაბათს მოისმინა მარშალ ფოშის მოხსენებას იმ სამხედრო ზომათა შესახებ, რომლის მიღებასაც ოსმალეთში აპირებენ. „პტი ჟურნალის" ლონდონელ კორესპონდენტის სიტყვით ამ ზომებით უნდა იქნეს: მოკავშირეთა მიერ იმ ტერიტორიების დაჭერა, რომელიც შემოსაზღვრულია ბოსფორით, მარმარილოს ზღვათა და დარდანელით. ხმელთაშუა აკრძალვა ოსმალეთისათვის ისეთი ჯარის ყოლისა, რომელსაც მას ლალატის შეძლებას მისცემს. საბჭო ფოშის ყველა დასკვნას არ დასთანხმებია და თავისი გადაწყვეტილების გამოტანა გადასდვა იმ დრომდე, სანამ იგი არ მიიღებს პასუხს ზოგიერთ ტექნიკურ კითხვაზე.

**ხმელთაშუა ზღვა**

საზღვაო მინისტრმა შემდეგნაირათ შეცვალა ხმელეთის შუა ზღვაში საფრანგეთის საზღვაო ძალთა განაწილება: საზღვაო ჯარის, რომლის გაუქმებაც გადაწყვეტილია [illegible] რა ვეცე ამირბაროთ [illegible] მშვიდობიანობის დროს [illegible] ერთი მეორისაგან დამოკიდებულნი იქნებიან. პირველი იმოქმედებს ხმელთა შუა ზღვის აღმოსავლეთსა და მეორე დასავლეთ ნაწილში. ტულონში იქნება 6 ნაღმოსანისაგან შემდგარი ესკადრილია, რომელიც საზღვაო პრეფექტის განკარგულებაში იქნება.

**ცენზურა.**

ქაიროდან იუწყებიან: 6 მარტს ეგვიპტეში აღადგინეს წინასწარი ცენზურა სამხედრო კანონების პასუხისმგებლობით.

**უმაღლესი საბჭო.**

უმაღლესი საბჭო, რომელმაც ლონდონის სესია დაამთავრა, თავის სხდომებს განაახლებს აპრილის დასაწყისს სან-რემოში. ამასთან ერთდროულად საერთაშორისო საფინანსო კომისია შეიკრიბება რომში.

**ბოლშევიკების ცნობები.**

**სამხედრო ცნობა.**

მოსკოვი. 5 მარტი. ვოლგინის ნოვგოროდის ჩრდილო-აღმოსავლეთით 10 ვერსზე ჩვენ სოფლები ავიღეთ. ბერდიჩევის და ლეტიჩევის რაიონში ბრძოლა ადგილობ. ხასიათისაა. დნესტრზე ჩვენმა ჯარმა მარცხენა ნაპირი აიღო. ([illegible] და რიბნიცს შუა) როსტო[illegible] რაიონში ჯარი კუშჩევსკაიასთან მდინარეზე გამოვიდა. კუშჩევსკაიას აღების დროს წამოვიყვანეთ 800 ტყვე.

**რუმინეთი და რუსეთი.**

რუმინეთის ზავზე მოლაპარაკება დაწყების თანხმობის გამო, რადიო „იზვესტიაში" სწერს: რუმინეთთან ზავი წარმოადგენს კიდევ ერთს გაწყვეტილ რგოლს, რომელიც მოკავშირეებმა რუსეთს შემოარტყეს.

**თებერვალი და მარტი.**

„პრავდა" მოწინავე წერილში სწერს: „თებერვალი და მარტი ძნელი თვეებია რესპუბლიკისათვის და მუშებისათვის. პირველათ ყოვლისა საშინელი ბრძოლა გვიხდება თოვლთან. ხშირათ ფუჭდება სამარხილე გზებიც. დიდი ქალაქების მუშათა წინაშე სდგება საქმე: გზების შესწორება და სურსათის შემოზიდვა. ერთი საათიც არ უნდა მოშორდნენ საქმეს, ისინი უნდა დაეხმარონ და წაექეზონ ერთი მეორე სამუშაოთ.

**ყაზახთა ყრილობა.**

მშრომელ ყაზახთა ყრილობის მუშაობა დიდის სიცხოველით მიმდინარეობს. ყრილობაზე ციმბირის ყაზახთა დაგვიანებული დელეგაცია მოვიდა. ციმბირის დელეგატმა პოლუბაევმა დახატა ციმბირის კონტრ-რევოლუციის სურათი. ციმბირში მოსავალი საუცხოვოა. ციმბირის ყაზახობა მზათ არის მთელის ენერგიით დაეხმაროს ცენტრალურ რუსეთის მუშებსა და გლეხებს.

# ახალი ამბები

◆ **მუშათა მაგიდის საქონელი.** სასურსათო განყოფილება და მისი დუქნები უკვე შეუდგნენ სურსათის დარიგებას მუშა-მოსამსახურეებზე. ურიგდებათ შემდეგი საქონელი: შაქარი თითო გირ. სულზედ იანვრის ტალონით, ბრინჯი—სულზედ ორი გირ. სათადარიგო ტალონით № 2, ჩაი სულზე ერთი მეოთხედი გირ. და წუმწუმა 2 კოლოფი სათადარიგო ტალონით № 3 ბითუმად ზემოხსენებული სურსათი ეძლევათ დაწესებულებებს ტალონების წარდგენით სასურსათო განყოფილებაში.

◆ განახლდა დეპეშების და უბრალო კორესპონდენციის გზავნა შავი ზღვის გუბერნიის შემდეგ ადგილებში. სოჭში, ტუაპსეში, ლაზარევსკაში, ლოოში, ხოსტაში, მაცესტაში, ადლერში, კრასნაია პოლიანაში, ვესელოეში, არხიპოვო-ოსიპოვსკაიაში, ტენგინსკაიაში, ჯუბგაში და ნებუგში. კორესპონდენცია ფასი გადახდილი უნდა იქნას მომქმედი შინაგანი ნიხრის მიხედვით.

◆ **დუშეთის ამბოხების საქმე.** გუშინ, 6 მარტს, თფილისის დროებითი საგანგებო სასამართლოში დაიწყო „დუშეთის საქმის" გარჩევა. სასამართლოს შემადგენლობა ასეთია: თავმჯდომარე ა. ა. კაბახოვი, წევრნი: ზ. ჩიჩუა, გ. თულაშვილი და ე. დიდია. სამართალში მიცემულია 18 კაცი, მათ შორის სერ. ქავთარაძე და ალ. [illegible]. ბრალს სდებს ბრალმდებელი ა. ი. ყანჩელი. შინაგან საქმეთა სამინისტროს და ამბოხების დროს მოკლულ ალ. რიკაძის დედის მხრით სამოქალაქო მოსარჩელეებათ გამოდიან ნაფიცი ვექილები კ. ნინიძე და დ. ონიაშვილი. გამოწვეულია 129 მოწმე. ბრალდებულთ იცავენ ნაფიცი ვექილები: ი. ბარათაშვილი, ს. დადიანი, სარქისოვი, სპექტორი, ბროდსკი, პ. გედევანიშვილი, ი. მ. დოლუხანოვი, პ. ქავთარაძე, იოს. მაჭავარიანი, მ. მგელაძე, ბადალასაროვი. მოწმეების დაუსწრებლობის გამო საქმე გადაიდო 20 აპრილისათვის.

◆ **თერგის სამხედრო ატამანმა გენ.** ვდოვენკომ და მთავრობის თავმჯდომარე აბრამოვმა საგ. საქ. მინისტრს შემდეგი დეპეშა გამოუგზავნეს: „თერგის

მშრომელობა თქვენის სახით ღრმა თანაგრძნობას უცხადებს ქართველ ხალხს ქ. გორის დანგრევით გამოწვეულ უბედურების გამო, რომელსაც ათასობით უბედური უსახლკაროთ და ულუკმაპუროთ დარჩენ. თერგის მთავრობას სურს რა დახმარება გაუწიოს დაზარალებულთ, გადასდო 3 მილიონი მანეთი დაზარალებულთათვის სურსათის შესასყიდათ. სურსათის თფილისში გადასაზიდათ დახმარებით მიღებულ იქნება ენერგიული ზომები კავკასიის საქართველოს კონსულ ეგიმ მაჩაბელთან ერთად.

◆ **სახელმწიფო უნივერსიტეტში.** დღეს, დილის სრულ 10 საათზე სოც.-დემ. სტუდენტთა კრებაზე შესდგება ს. დევდარიანის მოხსენება რუსეთის მდგომარეობის შესახებ.

◆ **„ჯეჯილი":** რედაქციამ მიიღო საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი „ჯეჯილი" იანვრის ნომერი (№ 1). ნომერი ჩვეულებრივათ სუფთად და შინაარსიანათაა შედგენილი. სხვათა შორის, ნომერში მოთავსებულია მოწოდება გორის მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დახმარების შესახებ; შემოწირულება მიიღება „ჯეჯილის" რედაქციაში (არტილერიის ქ., № 5)

◆ **არსენალის მუშათა კლუბი.** დღეს, 7 მარტს, საუკეთესო ძალების იერ წარმოდგენილი იქნება ქორი ის დრამა „ორი დარაჯი" და 3 მო იას „დილის ეროვ" დასასრულ ცეკვა.

◆ **ვერის მუშათა კლუბი.** (26 ბაირის ქუჩა № 29) ამა წლის მარტის 2 დან ვერის მუშათა კლუბის დარბაზში გაიხსნა ხინემატოგრაფი. სურათებს აჩვენებენ სამშაბათობით და ოთხშაბათობით, ხოლო დანარჩენ დღეებში ცალკე იქნება განცხადებული. 1-ლი სეანსის დასაწყისი სდ 6 საათ., 2-რე 8 ს. და 3-მე 9 ნახ საათზე. ადგილების ფასები სახალხოა.

◆ **ლექცია** 7 მარტს, დილის 12 ს. სახალხო უნივერსიტეტის აუდიტორიის განყოფილებაში პროფესორი ს. ავალიანი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: საერთაშორისო ეკონომიური მდგომარეობა.

◆ **მანქაუნების თარეში.** 5 მარტს მელაკნის ქუჩაზე ერთ რესტორანში სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის წარმომადგენელმა საგანგებო რაზმის დახმარებით შეიპყრო ყაჩაღი ლიომიდი ლოლაძე, რომელსაც თან აღმოაჩნდა პაკეტში ჩადებული წერილი საზოგადოება „კოსმოსის" წარმომადგენლის ბერიძის სახელზე. წერილით, რომელშიაც დახატული იყო კუბო და ხმ მოითხოვდნენ 2 მილიონ მანეთს; მისატანი ადგილი დანიშნული იყო სასადილო „სვეტი" (ვაგზლის ქუჩაზე).

◆ **„გორის ფონდი".** რედაქციამ მიიღო კლოტილ კილონისაგან გიორგობიანის მიერ გადაცემული 1000 მან., ს. ს. დ. მ. პ. მე 3 რაიონის კოლექტივისაგან 1000 მან., ივანე პეტრიაშვილისაგან 500 მან., პეტრე ხომერიკისაგან 300 მ., ტრიფონ იოანესძე გადილისაგან 1000 მან., ინგლისის აქციონერულ საზოგადოების „კოსმოსის" მიერ შესყიდულ თამბაქოზე მომუშავეებმა შეწირეს თით ათასი მანეთი: მეეროვე იაკობ სამეილიძე, მეეროვე ტატიანა მიხეილის ასულმა, მეტექსი კონსტანტინემ, სამასი მანეთი ნინ ძე ბიქტორმა. ასიასი მანეთი: ცომაია მარია პავლეს ასულმა, ჯინჭარაძე ანნა გიორგის ასულმა, დობროვოლსკაია მარია ვლად. ასულმა, ჯიბლაძე ვარლამმა, გერშენზონი ეფრემი ისააკის ძე, სარიშვილი თამარამ და ბაქრაძე პეტრემ. ჩვეულრეთის მცირე კოლლექტიური საზოგადო კრებაზე შემოსწირეს ას-ასი მანეთი: ბაქრაძემ, ვიფხვაძემ, ქრისტესიაშვილმა, ლორთქიფანიძემ და ხოტაბრომა. 50 მანეთი: გომართელმა, ხაზიურაშვილმა, ბერიკაშვილმა, ტალახაძემ, ხაბურთაშვილმა, ალუაშვილმა, ოქროპირიძემ, ლევილაძემ, ჩხეიძემ, ბოლქვაძემ, ვეფხვაძემ, ერაძემ, კაკაბაძემ, გუგუშვილმა, აბაშიძემ, ერაძემ, იაშვილმა, შუქრიშვილმა და შერმახიანოვმა. 20 მანეთი შემოსწირეს პინჭარაძემ და გაბრიელოვმა, თფილისის სადალაქოების პატრონთაგან 3237 მ.

— რედაქციამ მიიღო ხონის რაიონულ კომიტეტისაგან 500 მანეთი, განსვენებულ რაფიელ ჩიხლაძის ობლებისათვის გადასაცემათ.

◆ **შეცდომის გასწორება.** გუშინდელ ნომერში შემდეგი შეცდომებია: სწერია: „ბ-ნმა ალილხანოვმა შესწირა ფეხსაცმლები 4000 მან. ღირებული", უნდა იყოს: 40,000 მან. ღირებული; მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დახმარების შესახებ მოწოდებაში სწერია: „დაეხმარე უსახლკარო ქართველებს", უნდა იყოს: უსახლკარო ქართველებს და სხვ.

### კრებები.

— დანიშნული 15, 22 და 20 თებ. წლიური კრება კოოპ. სასადილოს საზოგადოებისა არ შესდგა წევრთა გამოუცხადებლობის გამო. ამიტომ ეს კრება დანიშნულია 7 ამ მარტს. გამგეობა დაბეჯითებით სთხოვს წევრთ აუცილებლათ გამოცხადდნენ კრებაზე, რომელზედაც უნდა გაირჩეს საყურადღებო კითხვები.

— 8 მარტს, ორშაბათს, დღის 3 ს., ადგილობრივ ბიუროს ბინაზე დანიშნულია მეხუთე რაიონის ს. ს. დ. წევრების საერთო კრება. კრება მეორეჯერ არის მოწვეული და რამდენი წევრიც დაესწრება ჩაითვლება კანონიერათ.

— კვირას, 7 მარტს, დილის 10 ს. დაიწყება გაგრძელება მუშათა კოოპერატივ „ალერძინების"-ს რწმუნებულთა კრებისა, თავის ბინაზე, — მუშათა სასახლე. რწმუნებულთა დასწრება სავალდებულოა.

— დღეს მარტის 7 სად. 6 ს. კავკ. საარქეოლოგიო ინსტიტუტის ბინაზე (ოლღ. ქ № 40) მოხდება საქ. საისტ. და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა საზოგადო ჩვეულებრივი კრება.

## მთავრობის საგანგებო კომიტეტში

4 მარტის სხდომაზე მთავრობის საგანგებო კომიტეტმა დაადგინა: ტექნიკურ კომისიის მიერ წარმოდგენილი მოხსენება ახალ შენობათა აღდგენის შესახებ მოწონებულ იქნას. მიეცეს ვადა ხსენებულ კომისიას სოფ. ხიდისთავში აეშენოს სანიმუშო სახლი, რომლის დრომდისაც შეჩერებულ იქნას ყოველგვარი სახლების აშენება და ამ მიზნისათვის გამოიცეს განსაკუთრებული მოწოდება გორის მაზრის მცხოვრებთადმი სახლების აგების შეჩერებაზე. ტექნიკურ კომისიაში მოწვეულ იქნეს ხელოვნების ცენტრის წარმომადგენელი მხატვარი შევარდნაძე და საერთოდ ხსენებულმა კომისიამ იმუშაოს გორის მაზრის ერობასთან კონტაქტში.

— შენობების აღდგენა-შეკეთება გორში ჯერ-ჯერობით შეჩერებულ იქნას, ვინაიდან გეოლოგიურ კომისიას ჯერ არ დაუმთავრებია თავისი მუშაობა. ამ მიზნისთვის გამოიცეს მოწოდება გორის მცხოვრებთადმი, რომ რამდენიმე დღით გადაიდოს შენობათა აგების საკითხი.

— მომარაგების სამინისტროს და ქ. თფილისის თვითმართველობას ყოველ დღე გორში კომიტეტის რწმუნებულის განკარგულებაში 10 მარტამდე გაეგზავნონ პირველმა 300 და მეორემ 100 ფუთი პური.

— ეთხოვოს მომარაგების სამინისტროს გაუგზავნოს რწმუნებულ ჩიქვაძეს 15 ფუთი შაქარი. მასვე, ჩიქვაძეს, მიეცეს კომიტეტისათვის შემოწირული 4 ფუთი საპონი და ნება დაერთოს შეიძინოს კიდევ ფულით 6 ფუთი საპონი და თითო ოჯახს დაურიგოს 1 გირვანქა.

— ეთხოვოს ქალაქთა კავშირს გაუგზავნოს ქ. გორში კომიტეტის რწმუნებულ ზანდუკელს 250 ცალი ფეხსაცმელი.

## ფოსტა-ტელ.-ტელეფონის ცხოვრებიდან

ფოსტა-ტელ. ტელეფონის მუშა-მოსამსახურეები მუდამ შევიწროვებულნი იყვნენ მატერიალურად, მაგრამ ძნელი ასაწერია დღევანდელი მათი მდგომარეობა. დღეს, როდესაც ბაზარზე მუქი პური 25 მან. ფასობს გირვანქა, მჭადი 15, აღნიშნული მუშა-მოსამსახურეები იღებენ თვიურად 1200 მან. (დარაჯი), 2500 მ. (სამმართველოს უფრ.). მთავრობის დეკრეტით სახელმწიფო მუშა-მოსამსახურეებს 1-ლ იანვრიდან მიეცათ 60 პროც. მომატება, მხოლოდ ფოსტა ტელ. და ტელეფონი ამოშლილ იქნა საერთო სიიდან და გავრცელდა 60 დან 30 პრ. მდე კატეგორიებათ დაყოფილი მომატება და ისიც 1 ლ თებერვლიდან. ამან დიდი მითქმა მოთქმა გამოიწვია თითქმის ყველა ორგანიზაციებში, რის გამო ეს საკითხი შებრუნდა განსახილველათ. მაგრამ აგერ თვეზე მეტია და არ იქნა, ამ საკითხის გადაჭრას ვერ ვეღირსეთ. ცხოვრება საათობით ძვირდება, ჩვენ კი ვერ მივიღეთ ის ორიოდე გროშებიც, რომლებიც უდავოთ უნდა მოგვეცემოდა. ეს ხდება მაშინ, როდესაც ეს მომატება ბევრ დაწესებულებებში უკვე მიიღეს. X.

## უცხოეთი

### ინგლისი.

**ლლოიდ-ჯორჯი ოსმალეთის შესახებ.** ლონდონიდან მოსული ცნობების თანახმად ლლოიდ-ჯორჯმა კონსტანტინოპოლისა და სრუტეების შესახებ, სხვათა შორის, განაცხადა: დარდანელი ინტერნაციონალურ სრუტეთ უნდა გამოცხადდეს. ჩვენ დიდ ანგარიშს ვუწევდით ინდოეთის წარმომადგენლების აზრს, საზავო კონფერენციაზე. ორი წარმომადგენელი იყო ინდოეთიდან და იმათ განაცხადეს, რომ თუ ოსმალეთი განდევნილი იქნება კონსტანტინოპოლიდან,—ამით ინგლისი დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევს ინდოელებში. ჩვენ მაშინ ვერ მათი მოთხოვნილება დავაკმაყოფილეთ. რა აზრი აქვს თურქების განდევნას კონსტანტინოპოლიდან? სამაგიეროს გადახდა?—ეს დამამცირებელი იქნება დიდ ბრიტანეთისათვის. როდესაც საზავო პირობები გამოქვეყნდება, ჩვენი მტერი,—ოსმალეთი დაინახავს, რომ იგი უმისოთაც საკმაოთ დასჯილია. ოსმალეთს წაერთმევა ნახევარზე მეტი მისი იმპერიისა, მის დიდ ქალაქში მოკავშირეთა დროშა იფრიალებს, მან დაჰკარგა ჯარი, ფლოტი და აგრეთვე თავისი პრესტიჟი. შემდეგ ჯორჯი ეხება საზავო პირობებს ოსმალეთთან და განაგრძობს: ოსმალეთს უნდა წაერთვას უფლება სრუტეების დაცვისა; მისი ფორტები უნდა მოისპოს. მას არ ექნება უფლება ჯარი იყოლიოს სრუტეების მახლობლათ; მოკავშირეებს განზრახვა აქვთ იქ თავიანთი ჯარები დააყენონ ოსმალეთს წაერთმევა შავ ზღვისაკენ მიმავალი გზა. დასასრულ, განაგრძობს ჯორჯი, ჩვენ მოვაწყვეთ არა მუსულმანების დაცვა იმნაირათ, რომ ამიერიდან მათ არ დასჭირდებათ ლეპეშებით მიმართონ დაცვისათვის მოკავშირე სახელმწიფოებს: იმათ დაიფარავს ოსმალეთის ძალმომრეობისაგან ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის ზარბაზნები.

### საფრანგეთი.

**გერმანია და საზავო პირობები.** გაზ. „ტანი" (5 თებ.) შემდეგს სწერს: დამოკიდებულება მოკავშირე სახელმწიფოთა და გერმანიას შორის თან და თან იხლართება; გერმანია არ აპირებს შეასრულოს საზავო პირობები ზარალის ანაზღაურების შესახებ; იგი უარს ამბობს ნახშირის მიცემაზე, სამხედრო ქონების გადაცემაზე და აგრეთვე იმაზედაც, რომ წარადგინოს დამნაშავეთა სია.

## დამფუძნებელი კრება

### 2 მარტის სხდომა.

**ბ-ნია ჩხიკვიშვილის სიტყვა.**

(დასასრული)

ტყუილად გინდათ თქვენ გამოიყვანოთ მაღლაკელიძის საქმე თქვენს სასარგებლოთ, იგი უკვე გადაეცა სასამართლოს და მას მსჯავრს უნდა უცდიდეთ თქვენ. ტყუილად იხენიებენ აქ კაჩხოვს შენგელაია და ფუშაპელი (ფუშაპელი: ბელაპირადეო? კარგი, გეტყვით, შეიძლება იუსტიციის მინისტრი იმისთვის იყოს, რომ იქეიფოს კაჩხოვთან ერთად!) (რ. არსენიძე: სრული სიცრუეა, სიყალბე!). ყოველ შემთხვევაში ეგ არ ითქმის ბ-ნ არსენიძეზე. (ფუშაპელი: ბ-ნმა იუსტიციის მინისტრმა იქეიფა კაჩხოვთან ერთად ვოლქოთ, სესიაშვილის ფირმის) აბლამდე ჯელდუმენი მაინც იყავით, და ახლა ეგეც დაგიკარგავთ.

აქ ერთი ფაქტის შესახებ უკვე მაშინვე მოგახსენეთ, რაც მე ვიცოდი. მეორემ საერთო გაკვირვება გამოიწვია და აღშფოთებასაც გამოიწვევს, თუ კი ეს ასე იყო, როგორც სთქვა ბ-ნმა დადიანმა. ბ-ნ დადიანს სჩვევია ფაქტები უწოდოს ისეთ რამეს, რაზედაც იცის, რომ პასუხს არ აგებს. მე პირადად ძალიან დამაინტერესა ამ ამბავმა. გვარდიელებმა წაიყვანეს ვიღაც კაცები ღამის 11 საათზე, დახოცეს და წავიდნენ. დაინიშნა გამოძიება ამ საქმისა და როდესაც გამომძიებელი საქმეს იძიებდა, ის გადააყენეს და დამნაშავენი გაანთავისუფლეს გამოძიებისაგან. თუ თფილისის მაზრაში ეს მდგომარეობა არის, რა უნდა მოხდეს სხვა მაზრებში, ლეჩხუმის, ბორჩალოს და ახალციხისაში. მე ვეტყვი ბ-ნ დადიანს, როდესაც ასეთი ბრალდებებით გამოდის, ჩვენ ვურჩევთ ფრთხილი იყოს მით უმეტეს, საზოგადოების იმ ნაწილზე, რომელმაც შესწირა მთელი სიცოცხლე ჩვენ რესპუბლიკას და მზათ არის შეწირვას, და დღესაც მისი ერთგული მუშაკი არის და ამ შემთხვევაში ვერც ერთმა ვერ გამოიჩინა ობიექტიური სამართლიანობა. შეცდენები ამას დამტკიცებს. ბ-ნმა ნუცუბიძემ განაცხადა ბ-ნ ტატიშვილის შესახებ, რომ ტატიშვილი მიუდგომელი პირიაო. მართალია, თუმცა ის ძველი რეჟიმის მოხელეა და თუმცა ამ რეჟიმის წიაღიდანაა გამოსული, მაგრამ მაინც მისი აზროვნება ჭეშმარიტად დემოკრატიულია. მე მაშინვე, ამ სიტყვის შემდეგ მივმართე ბ-ნ ტატიშვილს, სამოსამართლო პალატის პროკურორს, და მან მითხრა როგორც იყო ეს საქმე. აი ასე და ასეო და მე კატეგორიულად ვაცხადებ, რომ მისგან მაქვს მიცემული უფლება განვაცხადო, რომ სამსონ დადიანის მიერ თქმული საზიზღარი ჭორებია. (ს. დადიანი: არ მოუკლავთ?) ბ. ტატიშვილმა საქმის შინაარსი ასე გადმომცა: გვარდიის შტაბის ახლოს ორი კაცი დადის 9 საათზე, უცებ შტაბს, რაღაცას მიჰყვნენ და მარცხნივ უთვალთვალებენ. გვარდიელებმა მიაქციეს ყურადღება მათ. მივიდნენ და ნახეს, რომ იარაღი აქვთ,—ერთს რევოლვერი აღმოაჩნდა, ერთს კი ხანჯალი, და უთხრეს, რომ თქვენ დატუსაღებულნი ხართო. წამობრძანდით უნდა წაგიყვანოთ განსაკუთრებულ რაზმშიო და წაიყვანეს... (სოც. ფედ. ფრაქციიდან ხმა: მოსაკლავათ წაიყვანეს?!)

ბატონო, მოსაკლავათ კი არ წაიყვანეს, მათ დაატუსაღეს, როგორც უკანონოთ იარაღის მქონე ხალხი და მათი მოკვლა, რომ სდომოდათ აქეთ კი არ წამოიყვანდნენ, არამედ იქით წაიყვანდნენ და მოჰკლავდნენ. ბოროტ-მოქმედება, ყველაზე ბოროტ მოქმედებაა. დაატუსაღეს და ერთი მათგანი რევოლვერისტი აღმოჩნდა. გზაზე [illegible] ზე ერთმა მათგანმა მოინდომა გაქცევა და მოჰკლეს. (დადიანი: დიახ! დიახ! ჩვენც მაგას ვამბობთ. ეს ხომ ფაქტია?! ალიხანოვის პლასტუნებიც მაგას ამბობდნენ ხოლმე, მოინდომეს გაქცევაო!)

მე როგორც დამფუძნებელი კრების წევრს მეტს პატივს რომ არ გცემდეთ შესაფერ პასუხს გეტყოდით, მაგრამ ვერ გეტყვით. დანარჩენებიც გაიქცნენ: ერთი მათგანი მოჰკლეს, ერთი დასჭრეს, რომელიც შემდეგ გარდაიცვალა, ერთი გადარჩა. წინასწარ გამოძიებამ დაამტკიცა, რომ ისინი სხვადასხვა ადგილას იყვნენ დახოცილნი...

მერე რა მოხდა აქ? რა უნდა ექნა მილიციას? მილიცია იმ წუთსვე გაჩნდა იქ და შეუდგა საქმეს. იქვე დარაჯები დააყენეს და არამც თუ მილიცია, თვით მილიციის უფროსიც ერთ საათში იქ გაჩნდა. [illegible] ბრალმდებელს ოლქის სასამართლოსი გამომძიებელს დილამდი [illegible] იმ ღამესვე ერთი საათის განმავლობაში იმათ ცნობა უკვე მიცემული ჰქონდათ. მეორე დღეს წაიღეს და გადასცეს გამომძიებელს გამომძიებელი ბრალმდებელის ხელმძღვანელობით ამ საქმეს აწარმოებს. არავითარი ბოროტმოქმედებას აქ არ ჰქონდა ადგილი და არც ექნებოდა, რადგანაც გუშაგი მართლ მსაჯულებისა იუსტიციის სამინისტრო ამას არ დაუშვებდა. (ხმაურობა... ზარი)

იუსტიციის მინისტრი და სამინისტრო არ არის დემოკრატიული სამინისტროო. თქვენ ცუდი წარმოდგენა გაქვთ დემოკრატიულ რესპუბლიკაზე. რა უნდა ექნა მეტი ან მილიციას, ან მთავრობას ან თუ გინდა ს.-დ. პარტიას. დაინიშნა გამოძიება და ეს გამოძიება სწარმოებს.

(დადიანი: გამოირკვა, რომ გაქცევა უნდოდათ და მოჰკლეს!)

გამოირკვა, რომ მიუხედავად თქვენი მოკვლა უნდოდა კაცს და რომელსაც ამ კაცს თქვენ მოჰკლავდით, ეს დანაშაული არ არის. დანაშაულს არ შეადგენს, ბ. იურისტო, თავის თავად მკვლელობა, თუ იგი თავდაცვითი მიზნით არის გამოწვეული. (თ ღლონტი: გვასწავლეთ! გვასწავლეთ!) უნდა გასწავლოთ, რადგანაც თქვენ ისიც კი არ იცით, რაც გასწავლით. აქ გამოდით და ბრძანებთ, რომ სახალხო გვარდიის წევრები ამას ჩადიან რესპუბლიკის ცენტრში, დიდ ქალაქში ასე უპასუხისმგებლოთაო და სხვაგან რა იქნებაო. ამისთანა ბრალდებების გადმოსროლას, ამისთანა გამოსვლებს აქ არ უნდა ჰქონდეს ადგილი. თუ თავისი თავის პატივის ცემა არა გაქვთ, თქვენი ფრაქციის პატივის ცემა მაინც უნდა გქონდეთ და არ უნდა დაუშვათ ადგილი ასეთ ფაქტებს და უპასუხისმგებლო გამოსვლებს და ბრალდებებს. მაგრამ ლაპარაკი აქ უფრო ფართოთ იყო. აი თურმე რა ხდება. მილიცია სცემსო, აპატიმრებს და სჯის უდანაშაულო მოქალაქეს. მეტი არაფერი კეთდება. თფილისში სცხოვრობთ, რატომ არ ლაპარაკობთ სიხმდილს ამ ფაქტებისას მხედველობაში, რომ დღეს დამნაშავეთა რიცხვი შესამჩნევათ შემცირდა თითქმის 80 პროც. განა ის მდგომარეობა არის დღეს ჩვენში, რომელიც არსებობდა ამ ორი წლის წინათ? სრულიად შეცვლილია, დიამეტრიალურად წინააღმდეგია. თანდათან ჩვენი ცხოვრება შედის შესაფერ კალაპოტში, სასურველ სახელმწიფო ხასიათს ღებულობს და შორს არ არის ის დრო, როდესაც ჩვენ გვეყოლება გაწვრთნილი, გაჯანსაღებული და შესაფერისად მოწყობილი ადმინისტრაცია. თუ გინდათ ამ დარგს თქვენი კრიტიკით სარგებლობა მოუტანოთ მიგვითითეთ იმაზე, რა ზომების მიღება არის საჭირო. თქვენ უნდა გვითხრათ, რომ მათთვის არის საჭირო, რომ მათ ხელმძღვანელობდნენ კანონის მცოდნენი. მათ უნდა იცოდნენ კონსტიტუცია, მათთვის სკოლებია საჭირო, რომ მათი მდგომარეობა მატერიალურად, ჯამაგირის მხრივ უნდა იყოს გაუმჯობესებული, რომ მათ ქრთამებს არ მიმართონ, რომ საჭიროა ეს ზომები და სხვ., ეს მესმის. მაშინ ეს იქნებოდა ადმინისტრაციის გაჯანსაღებისაკენ მიმართული, ეს იქნებოდა კეთილი გრძნობით გამოწვეული სურვილი. მაგრამ თქვენ რადგანაც ამას არ შვრებით, თქვენ არ გესმით თქვენი მოვალეობა და ღირსება ხალხის წარმომადგენლებისა ან არ გინდათ გაიგოთ. მე საბუთებზე უნდა გადავედი, თუმცა მეშინიან ოპოზიციას ისე [illegible] ესმის, რომ მეც მეშინიან ამ საბუთებით გამოსვლა მეთქი, მაგრამ ვიტყვი მაინც. (აიღებს ხელში ქაღალდებს) აი ერთი არის 11 თებერვლის წლიური ანგარიში.

ბ. შენგელაიამ სთქვა, რომ „ბორობაში" ეწერა, რომ მილიციას ნებადაურთველათ უჩხრეკიათ და ამისათვის დაუთხოვნიათ. ამას აღელვებია ბ. შენგელაია გეკითხებით, ბატონებო, ჭკვათამყოფელი ხართ თუ არა? მითხარით, ბატონებო, კაცმა დანაშაული ჩაიდინა, გადაგვაყენებთ სამსახურიდან, რათ აყენებთ? განა ეს ჩვენი მოვალეობის დარღვევითი მხარე არ არის? განა ესეც სასაყვედუროა?

დანაშაული, თუ თქვენ სოციალისტები ხართ, უნდა იცოდეთ, არის შედეგი ყოველდღიური გარემოებისა, ამ პირობებში, ამ წესწყობილებაში, როდესაც არსებობს მთელი ინსტიტუტი კერძო საკუთრებისა, კერძო სამკვიდრისა, დანაშაულის მოსპობა შეუძლებელია, დანაშაულობა იქნება, მაგრამ მის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა სწარმოებდეს და უწყება მას ასრულებს პირნათლად და თუ ეს მოვალეობა მან შეასრულა თქვენ უნდა გაკმაყოფილებდეთ, მაგრამ როდესაც ასრულებს თქვენ ეს გაღელვებთ, და მე შემიძლიან ბევრი საბუთები მოგიყვანო ამის შესახებ.

(ხმები: გთხოვთ? გთხოვთ?).

მაგალითად, სისხლის სამართალში არიან მიცემულნი ბევრი, ზოგი მექრთამეობისათვის, ზოგი ყაჩაღობისათვის, თქვენ ეს მოგეხსენებათ ბ. შენგელაია, ეს თქვენთვის გასახარელია, ჩემთვის კი ეს სამწუხაროა, მაგრამ მიხარია, რომ დანაშავე აღმოჩენილია!

(შენგელაია. რამდენი ამბავია მაგისთანა?!)

ცხრა! აქ ცხრა არის, ბატონო, ამისთანა ამბები. ყოველ შემთხვევაში მე ისეთი საბუთები მაქვს, რომ მე არ მეშინიან ისინი დავასახელო, როგორც ფედერალისტების ფრაქციას ეშინია. ბ. დადიანმა წარმოადგინა საბუთი და ვერ გეტყვით, ვერ გეტყვით ვის სახელზე დაწერილია და მერე სთქვა ფედერალისტების ფრაქციის სახელზე არისო. თურმე ფედერალისტების ფრაქციას ეშინიან იმის თქმა, რომ ჩვენ მიგვიგდეს ასეთი და ასეთი საჩივარიო. შეიდით და ილაპარაკეთ მათ სერიოზულ საკითხებზედ, როგორც სახელმწიფოს შენება არის, როდესაც ასეთი არა სერიოზული საბუთებით გამოდიან, განა ღირს მათთან ლაპარაკი?

მე მაქვს, ბატონებო, აქ ყოველ დანაშაულის აღნუსხვა, რომელიც ჩადენილი იყო ამა თუ იმ პირის, მოხელის მიერ, რა დროს, რა ადგილას და როგორ მოხდა ეს დანაშაული და რაში გამოიხატა მილიციის მუშაობა ამ დარგში და რით გათავდა. უნდა მოგახსენოთ, რომ არც ერთი საქმე არ არის ისეთი, რომელიც ან სასამართლოში, ან გამომძიებელთან არ იყოს წასული, და არც ერთი დამნაშავე პირი არ არის, რომელიც ან დაჭერილი, ან თავდებების ქვეშ არ იყოს. შეიძლება არის ერთი ორი, მაგრამ საერთოდ ასეა. ყოველ შემთხვევაში, თუ გაინტერესებთ, თქვენ გაეცანით მასალებს და დარწმუნდებით, თუ რამდენათ ნაყოფიერია სისხლის სამართლის მილიციის მუშაობა სისხლის სამართლის დანაშაულობათა სფეროში.

მე გადავდივარ მეორე მხარეზე, რომ ეს ასე არის, ამას მოასწავებს ისიც, რომ თფილისში არ მომხდარა არც ერთი დიდი დანაშაული სისხლის სამართლის ხასიათისა, რომელიც გამორკვეული არ ყოფილიყოს. იყო გაძარცვა სახელმწიფოს სხვადასხვა დაწესებულებათა—მიწათ მოქმედების სამინისტროსი, ბონების ექსპედიციის და სხვა მაგრამ ყველაფერი აღმოჩენილ იქნა. არც ერთი დიდი დანაშაული არ მომხდარა, რომელიც არ ყოფილიყოს აღმოჩენილი და მართლ მსაჯულებას არ ჩაბარებოდეს. ეს არ იცის ბ. ნუცუბიძემ. მე მაქვს ოფიციალური წერილები ამერიკისა—ერთი 12 სექტემბრის, და მეორე 27 თებერვლის ამ წლისა, მესამე 22 ოქტომბრის გასულ წლისა და მეოთხე—სამხედრო მინისტრის ამხანაგის სხვისი მინდობილობით, რომელშიაც 4 დიდი დანაშაულობაა, რომელიც შეეხება სახალხო გვარდიის წარმომადგენელს და მეორე—ერთ ინგლისელს. მიღებულ ზომებით ეს დამნაშავენი აღმოჩენილი იქმნენ.

იმ ევროპიულ სახელმწიფოების წარმომადგენლებმა იციან, თუ რას ნიშნავს სასამართლოში მიცემა...

ბ. შ. ნუცუბიძემ სთქვა, რომ უწყებამ ცოტა იგლო, ალბად ახალ იუსტიციის მინისტრის შეხებითაო დიდად სასიამოვნოა არის ეს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ყოველი ახალ ძალას და მინისტრს უსათუოდ ექნება გავლენა. მაგრამ მე მინდა 2 დოკუმენტი გიჩვენოთ. ისეთი წარმომადგენელს საბრალმდებლო უწყებისა, როგორიც არის სამოსამართლო პალატის პროკურორი, ეჭვს გარეშეა, რომ თქვენ ნდობით ეპყრობით. აგრეთვე არ მოიკლებთ ნდობას სენატის პროკურორს. ეს დოკუმენტი შემთხვევით ჩამივარდა ხელში 7 ოქტომბერს, სადაც სწერია, შეგიძლიათ ამას ახლავე მიიღოთ. (კითხულობს) შემდეგ გახლავთ მადლობა. ქება და სხვა, რაც თქვენ არ გაინტერესებთ. მე მინდა მხოლოდ გითხრათ, რომ ის უწყება, რომელსაც ცოტა ნდობას [illegible] თუმცა არ გვქონია არც [illegible] და არც უნდობლობა, რადგან კვირაში ოცი პირსკევი გაქვთ და ვერ გეგიათ როდის რა ორიენტაციის ხართ,—სწორედ ამ უწყების აზრის მოყვანა საჭირო იყო. ვინაც სერიოზულად ესმის ეს საქმე—თუ რას ნიშნავს ადმინისტრაციის მოწყობა, ისე ასეთ აზრებს არ გამოსთქვამს. მილიციაში 500 კაციდან დათხოვნილი იყო 120 კაცი, რომლებიც დათხოვნილი იყვნენ ან უვარგისობის, ან ბოროტ-მოქმედების გამო. ამათში 7 კომისარი, 2 კომისრის თანაშემწე, 1 სისხლის სამართლის მილიციის თანაშემწე, 11 უფროსი მილიციონერი და 57 მილიციონერი. ეს რას ნიშნავს? ეს იმას ნიშნავს, რომ მილიცია ჯანსაღდება და დანაშაულობას ადგილი აღარ ექნება, და გაჯანსაღებისათვის საჭიროა საღი და არა ისეთი უკბილო კრიტიკა, რომელსაც აქ ქონდა ადგილი. მათ არ მიაქციეს ყურადღება ამას, რომ შინ. საქ. სამინ. სხვადასხვა განყოფილებები აქვს,—ერთი, მაგ. დავალებული აქვს ხარჯთ აკრების საქმისათვის ხელის შეწყობა, მის შესაფერ დონეზე დაყენება. ამას იგი ანხორციელებს მილიციის მოქმედებით და ადგილობრივ ადმინისტრაციის საშუალებით. ამ მხრივ მილიციის მოღვაწეობა პირდაპირ თვალსაჩინოა და დიდად დამაკმაყოფილებელი არის. გასული წლის განმავლობაში, 1 ნოემბრამდე აკრეფილია არის 28 მილ. გადასახადი ამ მილიციის საშუალებით. რას ნიშნავს ეს? თქვენ ეს არ გაინტერესებთ. თქვენ ის გაინტერესებთ, რომ ვიღაც დაიჭირეს და ის პარტიის წევრია. ეს, ბატონებო, მთავარი არ არის. მილიციის მუშაობა მრავალ მხრივია და ამას ანგარიში უნდა გაუწიოთ. როდესაც ეს საკითხი დაისვა და თავიდან დაიწყეს ამაზე ლაპარაკი, ჩვენ გვეგონა, რომ ოპოზიციის ფრაქციის ორატორები საღ მოსაზრებას მოიყვანდნენ ამ საკითხის გასაშუქებლად, მაგრამ მოვტყუვდით, და რომ გვეგონებოდა, რომ ასეთ ხასიათს მიიღებდა კამათი და საკითხს [illegible] გადაიქცეოდა, მაშინ იმ გზას დავადგებოდით, რომ აღარ ვილაპარაკებდით სამ-სამი და ოთხ ოთხი ორატორის ზედი-ზედ, როდესაც ჩვენ გვაქვს სხვა საკითხები, რომელსაც ამაზე მეტი მნიშვნელობა აქვს. (ხმა—დასკვნა?) დასკვნა კი მთელი ნალაპარაკევისა და კერძოთ ჩემი ნალაპარაკევისა ის არის, რომ თქვენ არ გესმით ადმინისტრაციის დანიშნულება და არ გინდათ გაიგოთ ის დადებითი საქმიანობა, რომელიც მას აქვს. ჩვენ კი გვესმის რას ნიშნავს ის დიდი საქმე, რომელიც ადმინისტრაციას ეკისრება შინაურ ცხოვრების მოწყობის საქმეში და რის შესახებ ბ. ი. ნუცუბიძეც ამბობდა. სწორეთ ამ შინაურ მდგომარეობის განმტკიცებისათვის ვაძლევთ კრედიტს სამინისტროს. და თქვენ რამდენიც უნდა ილაპარაკოთ, თქვენი დამჯერი ცოტა იქნება. (ტაში).

### 5 მარტის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

ქრ. შარაშიძის მოხსენებით მიღებულ იქნა წინა სხდომებზე მიღებულ კანონპროექტთა და დეკრეტთა საბოლოო ტექსტები.

**რკინის გზის ტარიფი.**

ი. ელიაგულაშვილი მოახსენებს კრებას დეკრეტს პროექტს საქართველოს სახაზინო და კახეთის რკინის გზებზე ტარიფის გადიდების შესახებ ის აღნიშნავს, რომ რკინის გზის მეურნეობას საერთოდ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს და სათანადო ადგილიც უჭირავს სახელმწიფო ბიუჯეტში. დღევანდელ პირობებში კი ჩვენი რკინის გზა დეფიციტს იძლევა და ამიტომ იწყება შემდგომლობა ტარიფის გადიდების შესახებ, მომხსენებელი დეკრეტს იმითაც ასაბუთებს, რომ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებსაც რამოდენიმეჯერ მიუმართავთ ამ საშუალებისათვის. საერთოდ რკინის გზის შემოსავალმა უნდა დაფაროს მისი გასავალი—ხარჯი, ამისთვის კი საჭიროა ტარიფის გადიდება.

ბ. ქიქინაძე (გზათა დეპარტამენტის დირექტორი). აღნიშნავს, რომ დიდი ხანია, რაც რკინის გზის სხვა და სხვა დარგში არ მომხდარა მოწყობილობის განახლება, თუ არ მოხდა რკინის გზის მოწყობილობის განახლება, მაშინ შემცირდება მატარებლების მიმოსვლა და ეს დღეს არსებულ დეფიციტს კიდევ უფრო გააძლიერებს. გარდა ამისა, საჭიროა ხიდების შეკეთება, სხვადასხვა მასალების შეძენა, ყველა ეს საგნები დღეს მეტად ძვირ ფასებში იყიდება, მუშა მოსამსახურეთათვის ჯამაგირის გადიდებაც დიდ ხარჯს იწვევს, ტარიფი კი მცირეა შედარებით საქონლის [illegible], ამიტომ ჩვენ განვიზრახეთ ტარიფის გადიდება და შევადგინეთ ხარჯთ აღრიცხვა 1920 წ. 1 ივნისიდან 1921 წ. 1 ივნისამდე. დღეს ტარიფი გვაძლევს 500 მილიონ მანეთს, გასავალი კი უდრის 900 მილიონ მანეთს, ასე რომ, თუ გორში მომხდარ ზარალს ანგარიშში არ მივი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღებთ, მაშინ დეფიციტი გვრჩება 400 მილიონი მან. თუ გორის სადგურის და სხვა დანგრეულ სადგურების საჭიროებას ვიანგარიშებთ, მაშინ ერთ მილიარდ მანეთზე მეტი დაგვჭირდება. ამიტომ ჩვენ შემოგვაქვთ წინადადებით ტარიფის გადიდების შესახებ. საფუძვლად ჩვენი ტარიფისა მიღებულია 1917 წ. ნორმალი ტარიფი. ამ ტარიფის მიხედვით სამგზავრო ტარიფი გადიდებულია 60 ჯერ, საბარგოს საზიდის 100-ჯერ ზოგიერთ საქონლის გამოკლებით, მაგ. მანუფაქტურაზე, ქვანახშირზე და სხვა ზოგიერთ საქონელზე არ არის 100 ჯერ გადიდებული, არამედ ნაკლებია.

თ. ღლონტი (ს.-ფ.) წინააღმდეგია ტარიფის მომატების, ვინაიდან ეს ცხოვრების უფრო გაძვირებაა. ის ამბობს, რომ ტარიფის მომატება მძიმე ტვირთად დააწვება მომხმარებლებს, ხოლო სპეკულიანტები ამით არაფერს დაკარგავენ.

ნ. წიქვილაძე (ს. დ.) მხარს უჭერს წარმოდგენილ დეკრეტს და ამბობს: ღლონტმა მშვენივრად დაამტკიცა, რომ მეტი გზა არ ყოფილა, თუ არა ტარიფის მომატება. თქვენ, ბატონებო, ყურადღება უნდა მიაქციოთ მთავრობის განცხადებას, რომ რკინის გზის მოწყობილობას განახლება უნდა. და მართალიც, ხიდები გვექნება გასაკეთებელი თუ არა, ბატონებო, რასაკვირველია გვექნება, ამას კი ფული სჭირია (ს. ფედერ.: კარგი დამცველი ხართ, აქეთ გადმოდექით, მაინც. მიუთითებს სოც.-ფედ. სკამებზე). ჩვენს ფრაქციას სახელმწიფოებრივ აღმშენებლობით საქმეში თანამშრომლობა სულ სხვანაირად ესმის, ვინემ თქვენ (ერ. ფედერ.: იმით არაფერი გესმით (ჩვენ ვლაპარაკობთ არა იმისთვის, რომ თქვენ ჩამოდექით და ჩვენ დაგვეხმარეთ, არამედ ჩვენ გვინდა ჩვენი ქვეყნის საქმე კარგათ წავიდეს. შემდეგ ორატორი ურჩევს გზათა დეპარტამენტის მეთაურს, ყოველი ღონე იღონოს, რომ მოეწყოს რკინის გზის ელექტროფიკაცია, აგრეთვე გაყვანილ იქნას ნავთის მილი გროზნოდან.

ვ. გაგულოვი (ს. დ.) უპასუხებს ღლონტს და ამბობს: ღლონტმა ახსენა მცირე კომისია, რომელმაც დაათვალიერა რკინის გზა და მოიყვანა ის მხარეები, რომელიც დაეხმარებოდა მას თავის აზრის დამტკიცებაში. კომისია კი რკინის გზის დათვალიერების შემდეგ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მის იმ მდგომარეობაში დატოვება, რომელშიაც არის დღეს, ყოვლად შეუძლებელია. თვითონ ღლონტი ამბობდა, რომ ხიდების, შპალების ასე დატოვება შეუძლებელიაო. ხიდებს, შპალებს, ორთქმავლებს შეკეთება სჭირია, ეს უდავოა. ახლა მე თქვენ გეკითხებით ბ. ღლონტი, რომელი თანხით უნდა გაკეთდეს ეს? რკინის გზის მოწყობილობისათვის საჭირო მასალები თანდათან ძვირდება, ტარიფს კი ნუ მოუმატებთო, ამბობთ თქვენ, მაშ, რითი უნდა დავფაროთ ხარჯი?—ამაზე თქვენ არაფერს ამბობთ. თითქოს ეს საკითხი თქვენთვის არ არსებობს. თუ საფრანგეთი, იტალია და სხვა დიდი სახელმწიფოები იძულებულნი არიან ტარიფს მოუმატონ, ჩვენ როგორ შეგვიძლია ეს ავიცდინოთ? ამიტომ აუცილებლათ უნდა მივიღოთ წარმოდგენილი დეკრეტი.

ეს მიიღო გზათა კომისიამ ერთხმად, გარდა თ. ღლონტისა. შემდეგ ლაპარაკობენ ბ. ჭეიშვილი, ს. დადიანი და თ. ღლონტი, პირველი იცავს პროექტს დეკრეტისას, ორი უკანასკნელი წინააღმდეგს ამტკიცებს,

ნ. ელიავა (ს. დ.) აღნიშნავს, რომ საფუძველი გადასახადი, თანახმად დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული კანონისა, რომლის წინააღმდეგ მაშინ არ წასულან სოც.-ფედერალისტები, ითვლება თითო ფუთზე ვერსობით. ქალაქები სწორედ ამდენივეს გადასახადს ამ კანონის მიხედვით. რაც შეეხება დანარჩენ კითხვებს, უნდა მოვახსენოთ, რომ ჩვენ ერთი და იგივე რეპლიკა და ერთი და იგივე პასუხი გვესმის, ოპოზიცია ახალს არაფერს ამბობს. ჩვენს წინ არის დეკრეტი. საკითხი ისმება: გვაქვს თუ არა საშუალება საიდანმე ამოვიღოთ ფული და დავფაროთ ეს დანაკლისი? და თუ არა გვაქვს, მაშინ უნდა მოვუმატოთ თუ არა ტარიფს?—მეტი გზა არ არის, ტარიფი უნდა მოვუმატოთ, მით უმეტეს, ჩვენ გვაქვს სახელმძღვანელო პრინციპათ ერთი დებულება: თითეულმა წარმოების დარგმა თავისი ხარჯი უნდა დაფაროს, შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ ჩვენი რკინის გზა უმთავრესათ სატრანზიტო ხასიათის ბარგებს ზიდავს და თუ ჩვენ ტარიფს არ მოვუმატებთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ვეხმარებით სხვა სახელმწიფოებს ჩვენი დემოკრატიის ხარჯზე, ეს კი დაუშვებელია.

ამიტომ წარმოდგენილი დეკრეტი უნდა მიღებულ იქნას.

მომხსენებლის სიტყვის შემდეგ დეკრეტი მიღებულ იქნა.

## დახმარება მიწის ძვრისაგან დაზარალებულთ

მოქალაქენო! ქ. გორის ნანგრევებმა შეიწირეს მოზრდილი იმედი, ახალგაზრდა თაობის სწავლა-განათლება. შენობები ნანგრევებ ქვეშ მოყვა, იმედი მომავალი თაობის. ახალგაზრდობა მოსწყდა კულტურის კერას, მოსწყდა ლაბორატორია-განვითარებას, დარჩა ცის ქვეშ თავშეუფარებელი.

ნივთიერი უზრუნველყოფის ხაზინიდან გორის მცხოვრებთათვის გაორკეცებულ იქნება, უკიდურესი და ზნეობრივი ტანჯვით, თუ მათი შვილები ქუჩაში დარჩებიან და განათლებას მოაკლდნენ.

მოქალაქენო! თქვენს მზრუნველობაზეა დამოკიდებული დღეს მათი ბედი.

მთავრობის საგანგებო კომიტეტმა დაადგინა გადმოიყვანოს გორის ქალთა და ვაჟთა გიმნაზიის მოსწავლენი და მასწავლებელნი ქ. თბილისში. მაგრამ მათ უნდა დაბინავება, ოჯახური მზრუნველობა. მშობლებთან ერთად ისინი აქ ვერ მოთავსდებიან საზიდელ სივიწროვის გამო და ბავშვები—მოსწავლე ახალგაზრდობა თქვენგან მოელის მოვლას. დაეხმარეთ საგანგებო კომიტეტს მათ დაბინავებაში. დაუთმეთ მათ ერთი კუთხე თქვენი შვილების გვერდით.

მოქალაქენო! შეიხიზნეთ თითო მოწაფე. თუ თქვენ შეძლება გაქვთ,—იკისრეთ ერთი ბავშვის რჩენაც. თუ შეძლება არ გაქვთ, ბინა მაინც მოუხერხეთ და საგანგებო კომიტეტი დაფარავს ხარჯებს.

მოქალაქენო, მზრუნველთა წრეებო, თბილისის მოწინავენო, თქვენ გაწვევთ პირველად ყოვლისა ვალი ამ დროს მოძმეთა დახმარების.

განცხადება ბინის მიცემის შესახებ მიიღება მთავრობის საგანგებო კომიტეტში იუსტიციის სამინისტროში (სასამართლოს შენობა) და განათლების სამინისტროში.

მთავრობის საგანგებო კომიტეტი.

**ტეხნიკურ საზოგადოებაში.** 28 თებერვალს შესდგა საქართველოს ტეხნიკური საზოგადოების საზოგადო კრება, რომელზედაც განხილული იყო მიწის ძვრასთან დაკავშირებული საკითხები. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ გამოირკვა, რომ მთელი ტეხნიკური საქმიანობა მიწის ძვრის გარშემო უნდა იყოს რამდენიმე ნაწილად:

1. დაზარალებულ ხალხის ბინებში მოთავსება; აშენება მათთვის საჩქაროდ დროებითი შენობებისა, სადაც დაცულ უნდა იქნეს, რამდენადაც მოხერხდება, სანიტარული ჰიგიენური პირობები, რათა გადარჩენილი ხალხიც სხვადასხვა მოსალოდნელ ეპიდემიურ ავადმყოფობებს მსხვერპლად არ შეეწიროს.
2. გეოლოგიური გამოკვლევა მიწის ძვრის ხასიათისა, შესწავლა მისი მიზეზებისა, ეფექტისა, შედეგებისა და ამასთან ერთად მდგომარეობის გათვალისწინება მომავლისათვის.
3. საკითხის ყოველმხრივ შესწავლის შემდეგ გადაწყვეტა, თუ სად უნდა აშენდეს ქალაქი და დანგრეული სოფლები: ძველ თუ ახალ ადგილზე.
4. გამოკვლევის შედეგების მიხედვით მიწის ძვრისაგან მედეგარ შენობათა ტიპის გამომუშავება.
5. დანგრევას გადარჩენილ შენობებისა და ამასთან ერთად მასალათა დახარისხება.
6. გაშენება ქალაქისა და სოფლებისა შენობების გამომუშავებული ტიპის, ახალი გეგმის და ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

საზოგადო კრებამ აირჩია მიწის ძვრის კომისია, როგორც გაზეთებში უკვე აღნიშნული იყო, რომელსაც ყველა არსებულ კომისიებთან კავშირის დაჭერა და საკითხის შესწავლა დაევალა. ამასთან ერთად აღინიშნა საჭიროება არსებულ კომისიებთათვის მუშაობის კოორდინაციისა, ვინაიდან შეუთანხმებელი და განმხოლოებული მოქმედება უნაყოფოდ ძალების დაქსაქსვას გამოიწვევს და, მაშასადამე, საქმეს მხოლოდ ზიანს მიაყენებს.

კომისიამ 2 მარტის სხდომაზე თავმჯდომარეთ აირჩია ინჟ. მ. ყაუხჩიშვილი, თავმჯდომარის ამხანაგად ინჟ. ვ. კაკაბაძე და მდივნად ინჟ. ვ. ავალიანი.

ამავე სხდომაზე გამოითქვა სურვილი მუშაობის წესიერ კალაპოტში ჩასაყენებლად ერთი ტეხნიკური ცენტრის თბილისში და მეორის—ადგილობრივ დაარსების შესახებ. კომისიამ აღიარა დაზარალებულ ადგილთა გეგმების და სხვა მასალების შეკრების საჭიროება, ძველი შენობების ტეხნიკური მხარეების და აგ. ვარგისიანობის გამოკვლევა და სხვა.

კომისია ხვალ, 6 მარტს, მთელი თავისი შემადგენლობით მიემგზავრება დაზარალებულ ადგილებში. სხვადასხვა საკითხების ადგილობრივ გამოსარკვევად და შესასწავლად.

---

მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა მთავარი ბიუროს შემოწირულებათა ბიულეტენი № 2.

ბიურომ მიიღო: სახელოსნო კლუბიდან 20 000 მან., გლობუსისაგან 50 მან., ნინო დოლიძე-შორიძისაგან 25 მან., ალექსანდრე ძნელაძისაგან 200 მან., თბილისის ქალაქის გამგეობის კონტროლისაგან 2,958 მან., ჰოჭიაძის ოჯახში შეგროვილი 2,750 მან., „სახალხო საქმის" რედაქციაში შეგროვილი 23,508 მან., გარეშე საქმეთა სამინისტროში შეგროვილი 75,000 მან., ბ. ჩხიკვიშვილის მიერ შეგროვილი 70,350 მან., სულ 194,841 მან., წინათ იყო შეგროვილი 224,875 მან., სულ დღემდის 419,716 მანეთი.

---

მთავარი ბიუროს შემოწირულებათა ბიულეტენი № 3.

მთავარმა ბიურომ მიიღო: ბ. ჩხიკვიშვილის მიერ შეგროვილი საგარეო საქმეთა სამინისტროში: 100,000 მან.; ქ. ხახანაშვილის მიერ შეგროვილი 3 620 მან.; ვარლამ ბურჯანაძის მიერ შეგროვილი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში 3.535 მ., გაზ. „ვოზროჟდენიაში" შეგროვილი: 100.000 მან.; ნიკ. კიკნაძის მიერ შეგროვილი 7.000 მან., შალვა ქუთნის მიერ ბათუმში შეგროვილი 747.400 მ., (ამ უკანასკნელთაგან შემოსწირეს: შალვა იოსებიძე ქუთნია 50.000 მ., ნ. ა. საბიევი 50.000 მან., ფიოცმილავა და ზარაზინიძე 50.000 მან., ი. კახიანი 10.000 მ., ნ. სიხარულიძე 30.000 მ., ე. მერაბიშვილი 50 000 მ., ძმ. რუხაძეები 10.000 მ., თ. თითურია 5.000 პელაგია და ივანე წულაძე 3 000 მან., ელ. და კირ. შელიძეები 3 000 მან., მ. და ი. მეტალაძეები 10 000 მ., ალ. მებუკე 5 000 მან., სპ. გურგენიძე 5.000, ნოე მგელაძე 5 000 მან., კასტია მაჭავარიძე 10.000 მან., ქელია და ამხ. 10.000 მან., გ. ს. თავართქილაძე 10.000 მ., ი. მაჭარაძე და ვ. წოწონავა 10.000 მან., პლ. გიგანეიშვილი 10.000 მან., ნ. ალანიშვილი 3.000 მან., ი. კარანაძე 3.000 მან., ი. რამიშვილი 1.000 მან., ი. ქურთიშვილი 20 000 მან., ლ. და ი. თევზაძეები 3.000 მან., მართია და ნიკო ჯაყელი 10 000 მან., გ. ილიავა 10 000 მ., მარინე ნაკაშიძისა 600 მ., მ. გვარჯალაძე 1.000 მან., ვ. ღლონტი 3.000 მან., რ. ვოლოდიძე 10 000 მ., გრ. დოლიძე 80,000 მ., ზ. ჩხენკელი 5.000 მან. გრ. ჩხაკვაძე 10,000 მ., მ. რუხაძე 5.000 მან., გრ. კეშელავაძე 5.000 მ., ს. ჯანელიძე 10 000 მ., ზეს. მგელაძე 5.000 მან., არ. გოგუაშვილი 2.000 მ., გ. კალანდარიშვილი 3 000 მ.. რ. ჯაჯანაშვილი 20 000 მან., ნ. აბაშიძე 10 000 მან., ი. გოთუა და ქ. ტუღუში 5000. მ., ვ. და ი. ივანოვები 10.000 მ., ი. სპანიძე 5.000 მ., ქ. კაპეტანიდი 1.000 მან., ვ. ვართაღიანი 20 000 მან., ვ. ნიკიტინი 5 000 მ., გრ. ავალიანი 5 000 მ., ი. გულარია 10 000 მ., ძმ. რიჩი 2.000 მ., სვანიშვილი და სადრაძე 1.000 მ., ილ. კუპრაძე 2.000 მ., მ. მეისხელიშვილი 1.000 მ., ლ. პერტენავა 10 000 მ., ქ. არაბულიძე და ს. იმნაძე 2 000 მ., ექიმი რატიანი 1.000 მან.. სახელოსნო სასწავლებელში შეგროვილი პ. აკოფოვისაგან 2 800 მ., ლ. ღლონტი 5 000 მ., ს. ლომინაძე და ვ. გიორგაძე 4.000 მ., დ. ჯიშკარიანი 3.000 მ., ერ. სიმონიშვილი 2 000 მ. „ტრიონტის" ამხანაგობა 50.000 მ., ს. ყუფარაძე 1 000 მან., ი. ჩხიკვაძე 10 000 მ., გ. მახარაძე 2.000 მ., კალისტრატე ლორთქიფანიძე 1.000 მან., პ. ქალთაიანი 1.000 მ., პ. ,აზარაძე 10.000 მ., პ. გოგუა 2.000 მ., გ. გიორგაძე 5.000 მ., ლ. სვანიშვილი 25.000 მ., ძ. ჯორბენაძე 2.000 მ. პ. ზაქრაძე 1.000 მ., ერ. ჩხიძე 3 000 მან., ქ. სარიშვილი 1.000 მ., ბ. გაბელაია 3.000 მ., ვ. ძნელაძე 5.000 მან., ს. ჯიბლაძე 5.000 მან., დ. გაბუნია 1.000 ოპ. მაჭავარიანი 1.000 მან., რ. სანაძე 3.000 მ., ვ. კაკაბაძე 2.000 მან., ძ. მხეიძე 10.000 მ., დ. კანდელაკი 3.000 მ., ბათუმის ქალაქის | ქართული სკოლის მასწავლებლებისაგან: არ. ღლონტი 1.500 მ., ქ მესხი 1.000 მ., მ. ლოლუა 700 მ., მ. იმნაძე 1000 მ., ვ. სვანაძე 1 000 მ., ნ. სიხარულიძე 1.000 ევა ივანიტიე 300 მ. და თ. ქუჩუკაშვილი 500 მ., ოსმან ალი ფაშალიშვილის ფული 1.000 მ., სულ 961.545 მან.. წინათ იყო 419.716 მან. სულ დღემდის 1.381.261 მანეთი.

## ს.-დ. პარტიაში

**თბილისი.** 2 მარტს შესდგა საქ. ს. დ. მ. პ. თბილისის კომიტეტის განახლებულ შემადგენლობის პირველი სხდომა. ახლად არჩეულებით კომიტეტში შემოდის სულ 14 წევრი. არ გამოცხადდნენ 4: მაჭარაძე, ჯინჭველაშვილი, ირემაშვილი და ლორია. პირველად დამტკიცდა რაიონებიდან წარმოდგენილი მანდატები. წარმომადგენლობითი მეტრი ისაზღვრებოდა ყოველ შვიდას კაცზე თითო წარმომადგენელი. პირველ რაიონიდან არჩეულ იქნა 5 წევრი, მეორიდან 3, მესამედან 1, მეოთხედან 1, მეექვსედან 1 და მეშვიდედან 2.

სიტყვას იღებს ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. ნოე რამიშვილი. ის ამბობს: გარემოებამ დაგვანახვა, რომ არსებობს ბევრი საერთო ცენტრალურისა და თბილისის კომიტეტებს შორის, ამიტომ საჭიროა მოხდეს შეთანხმება, რომელიც საშუალებას მოგვცემს უფრო მჭიდროთ დავუახლოვოთ ერთმანეთს ეს ორი ხელმძღვანელი ორგანიზაციები. საჭიროა ცენტრალური კომიტეტის წევრები ესწრებოდნენ თბილისის კომიტეტის სხდომებს და პირიქით. კრებამ სავსებით გაიზიარა ეს შეხედულება და გამოსთქვა სურვილი, რომ მომავალში მომხდარიყოს უფრო მეტი დაახლოვება ამ ორ კომიტეტს შორის. შემდეგ პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: გ. ბახტაძე, ს. თევზაძე და ილ. სიხარულიძე. თავმჯდომარეთ გ. ბახტაძე, მის ამხანაგათ თევზაძე. მიღებულ იქნა შემდეგი რეგლამენტი: 1) კომიტეტის წევრი, რომელიც ორჯერ ზედიზედ კრებას არ დაესწრება და არც დასაბუთებულ საპატიო მიზეზს წარმოადგენს ამისას, კომიტეტიდან გამორიცხულათ ჩაითვლება. მის ადგილს დაიჭერს კანდიდატი, 2) ქვორუმს შეადგენს უმრავლესობა—ნახევარზე ერთით მეტი, 3) კომიტეტი იკრიბება ჩვეულებრივათ კვირაში ერთხელ—ოთხშაბათობით, 4) სხდომა იხსნება სრულ 6 ს. თუ 6 ს. ქვორუმი არ გამოცხადდა, იცდიან 10 წუთს, რის შემდეგ კრება იშლება, 5) თუ რომელიმე წევრი კრებაზე დააგვიანებს, ვალდებულია განაცხადოს დაგვიანების საპატიო მიზეზი, რაც შეიტანება ოქმში. რკინის გზის საადგილმდებარეო იაჩეიკის განცხადება, რომ გადარიცხულ იქნან წევრებით პირველ რაიონში, კომიტეტმა გადასცა თავის დასკვნის გამოსატანათ მეორე რაიონს, რომელიც შემდეგ კრებაზე ამ საგანზე გადაკვეთებს მოხსენებას კომიტეტს. №

## მუშათა შორის

**სამხედრო სამინისტროს ფეხსაცმელების სახელოსნო.** (მიქელაძის სირაძე) ამ სახელოსნოში მუშაობს დაახლოვებით 80 კაცამდე მუშა-მოსამსახურე (თეთრი და ნარდათ), შეგნებით, განვითარებით ძლიერ ჩამორჩენილნი არიან, მათში არაა ერთობა კავშირი, წესიერება, ვერ ნახავთ ორ-სამ მუშას, რომ გაზეთს კითხულობდეს ან და საჭიროებათო კითხვებით იყვნენ დაინტერესებულნი, ამიტომაცაა, რომ მათ არ აქვთ პარტიული ორგანიზაცია და პროფესიონალური კავშირი, თუმცა საამისოთ დროც აქვთ და პირობებიც. წინათ, როცა სახელოსნო სამხედრო კავშირის ხელში იყო, მუშებს რაღაც ბრძოლის უნარი, სიცოცხლის ნიშანი მაინც ეტყობოდათ. დღეს კი, ყველა ამას მოკლებული არიან. ეს არ არის რომელიმე პიროვნების ბრალი—ეს თვით მოწინავე მუშების უმოქმედობაშია. მუშათა საქმე უნდა კეთდებოდეს მუშების საკუთარი ხელით და არა სხვის იმედზე ემყარებოდნენ. მატერიალური მხრითაც არა ნაკლებ ცუდ პირობებში ვხვდებით მუშებს ცხოვრება, თუმცა 40 პროცენტის მომატებას დიდი წვალების შემდეგ ძლივს ეღირსნენ, მაგრამ ამ აუტანელ სიძვირის გამო, ეს არას ეშველის, თუ სხვა რამე რადიკალური ზომები არ იქნა მიღებული სურსათ-სანოვაგის შესაძენათ. სურსათის საქმე დღემდის აქ სრულიად მოუწესრიგებელია. სხვა დაწესებულებებში მუშები ყველგან იღებენ სურსათს, აქ კი ამას მოკლებული ვართ. ნეტავ რა დავაშავეთ? სახელოსნო მოწყობილობით სამხ. სამინისტროსია. მუშათა რიცხვი 80 კაცამდეა. ვმუშაობთ რესპუბლიკის საქმისათვის და ჩვენ კი არავინ ყურადღებას გვაქცევს. ჩვენი ადმინისტრაცია სრულიად არა ზრუნავს სურსათ-სანოვაგის მოსაგვარებლათ, სამაგიეროთ კანცელარიაში ბევრი ლამაზი სიტყვები, დაპირებანი იხარჯება.

მუშა ალიოშა.

---

**მიხეილის საავადმყოფო.** მეტათ უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებიან მიხეილის საავადმყოფოს დაბალი მოსამსახურეები. (იგულისხმება „სიდელკები") აქ თითქმის სრულიად არის დაცული ძველი რეჟიმის დისციპლინა, დისციპლინა ადამიანის [illegible]. სწორედ ხსენებულ საავადმყოფოს კედლებში ახალი გარდაქმნას ცხოვრებისას ვერ შეუტანია თავისი მადლიანი სხივები. აქაური მოსამსახურეთა ცხოვრება მიდის ძველი გზით, მიდის და მას არავინ ამჩნევს, არავინ ხედავს. დაბალ მოსამსახურეებს დილის 6 საათიდან საღამოს 7 საათამდე უხდებათ მუშაობა, გასამრჯელოს კი იღებენ თვეში ოცდა ხუთ თუმანს. ცხადია, რომ ამ მოსამსახურეთათვის კავშირის გამგეობა არ ზრუნავს.

პირველ მარტს საავადმყოფოს ზედამხედველმა ციციშვილმა, საავადმყოფოს ყველა განყოფილებებში დიასახლისებს („ხაზიაიკებს") დაუგზავნა მოსამსახურეებისათვის გამოსაცხადებლათ ოფიციალური მოწერილობა, სადაც ერთ მუხლში ნათქვამია, რომ ღამის მორიგეობის შემდეგ, „სიდელკა" თავისუფლდება მეორე დღეს სხვა არა მორიგე ქალებზე მხოლოდ ორი საათით ადრე, ე. ი. დილის 6 ს. მეორე დღის საღამოს 5 ს. მორიგეობით უნდა იყოს საავადმყოფოს კედლებში, მეორე დილით კი 6 საათ. ის ისევ უნდა დაუბრუნდეს ამავე კედლებს, ვფიქრობთ, ასეთ განკარგულებას არ გამოიტანდა არც ერთი მუშათა „კავშირი" თავის წევრთათვის მისადებათ.

შეიძლება მოსამსახურეთა რიცხვი ვერ აუდის საავადმყოფოთა მოვლას? თუ ასეა, რატომ არ შეიძლება მოეწყოს მეორე მორიგეობა „სმენა" (როგორც ეს არის რკ. გზის საავადმყოფოში და სხვაგან). მართალია, ყველა ეს ზედ მეტ ხარჯებს გამოიწვევს, მაგრამ სამაგიეროთ, სამართლიანად იქნება დაცული მოსამსახურეთა ინტერესები. დაუყოვნებლივ უნდა მიექცეს ყურადღება აქაურ მოსამსახურეთა პირობების გაუმჯობესებას. საჭიროა კავშირმაც იფიქროს ამ მხრივ.

ავათმყოფი.

## პროვინცია

### ქუთაისის სამაზრო ერობაში.

ჯერ კიდევ წელიწადი არ შესრულებულა მას შემდეგ, რაც ჩვენმა დემოკრატიულმა ერობამ საფუთიაქო საქმეს მოჰკიდა ხელი და სწორეთ საგრძნობი ცვლილება მოახდინა ამ დარგში, თითქმის მაზრაში, ამ მოკლე ხნის განმავლობაში იმ მრავალ დაბრკოლებათა მიუხედავათ, რომელიც შექმნილია სხვადასხვა მიზეზების გამო მთელი მაზრა მოფენილია ერობის აფთიაქებით, არ გიზობს ცენტრალური საფუთიაქო საწყობი და დიდი საფუთიაქო განყოფილების არსებობისა, მაზრის მედიკამენტებით უზრუნველყოფა შეძლების დაგვარათ ნორმალურათ სწარმოებს, აფთიაქები პირნათლათ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას და მომხმარებელნიც დარწმუნებულნი არიან, რომ მას ვეღარავინ მოატყუებს, მეტს ვერავინ გადაახდევინებს და სწორათ შეზავებულ და ნამდვილ წამალს მიიღებს ხელმისაწვდომ ფასებში, ან სულ უფასოთ (თუ ღარიბია). ეს მოვლენა დღეს მაზრაში ყველა კუთხეში სინიდისიერ მოქალაქეს სიამოვნება აქვს და ყველა გრძნობს ამ აფთიაქების დიდ სარგებლობას ერობის მიერ დანიშნულ ექიმების დახმარებით, სამუდამოთ ადიგვება მარჩიელ-მკითხავ ექიმბაშობა, რომელსაც XIX-XX-საუკუნით შეუგნებელ მასაში გასავალი აქვთ.

უკმაყოფილო ელემენტებიც არიან ამ მოვლენისა ჩვენში, ესენი ზოგიერთი კერძო აფთიაქების მეპატრონენი არიან, რომლებიც უსინდისოთ აძვრებდნენ შეუგნებელ მომხმარებლებთან ჩვენ ნორჩ დაწესებულებებს, ეფუძნებიან და ხშირათაც ამბობენ მომხმარებლებთან „თუ რომ კარგი ექიმი იყოს, უფულოთ როგორ გვასინჯავს ან სად წამალს იაფათ და უფასოთ ვინ მოგცემსო" მაგრამ ეს უკანასკნელ ხანებზე მოვლენა [illegible] განწირულია! დემოკრატია სცნობს მტერს და მოყვარეს. ლაპარაკობენ აგრეთვე ექიმბაშ მკითხავები, მაგრამ მათ წინააღმდეგ რეპრესიული ზომები არ დაეგეპირდება, თუ უნარიანათ განაგრძო საქმე ჩვენმა დემოკრატიულმა დაწესებულებამ, ისინი მონახავენ თავიანთ სათარეებს. ასეთია დღეს საფუთიაქო საქმის მდგომარეობა ქუთაისის სამაზრო ერობაში. ბევრი რამ არის კიდევ გასაკეთებელი ამ მხრივ, მაგრამ საქმე კალაპოტში ჩაყენებულია და პროგრესისაკენ აქვს პირი, დემოკრატიის და რესპუბლიკის საკეთილდღეოთ. უნდა ითქვას, რომ საქმის წინსვლაში იმ გარემოებამ ითამაშა დიდი როლი, რომ ეს დარგი გამოყოფილია ცალკე განყოფილებათ და უნარიან მუშაობასაც ეწევიან.

საქმე კარგათ მიდის ჯერ, მაგრამ ამ დარგში მომუშავენი ეკონომიურათ დიდ გაჭირვებას განიცდიან და რადგან მოსამსახურეთა დიდ უმრავლესობას ნორჩი საქმის სამაგალითოთ მოწყობა აინტერესებთ, დღემდის ხმის ამოუღებლათ იტანდნენ ყოველგვარ გაჭირვებას, მაგრამ ამას შემდეგ კი ყოვლად შეუძლებელია ასე დარჩენა, საჭიროა მიექცეს მათ მდგომარეობას სათანადო ყურადღება ვისგანაც ჯერ იყოს, საქმისვე ინტერესისთვის.

დავა ბუზელი.

## განცხადებანი

კბილის ექიმი
ქ. ე. ბიბინეიშვილი.
იღებს ავათმყოფებს დილის 9—2 საათ. და 4—6 საათ. ნიკოლოზის ქუჩა № 64
(566—4—3)

ექიმი შ. ტ. ხარაბაძე.
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებებით ავათმყოფებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 81, [illegible] ახლოს.

იყიდება 50 ფუთი
ქარტა და „უნდერვუდის"
საწერი მანქანა
მისამართი: პლეხანოვის ქ. № 25 (ყოფილი ალექსის ქუჩ. № 5, ი. მაჩაიძის ბინა. (ნ. 1—1)

ექიმი
ნ. დ. ცერიაშვილი
იღებს შინაგან, საბავშო და ქალურ სნეულებით ავათმყოფებს მუდამ დღე შუადღის 1—2 ს. და საღ. 4—5 ს. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს. ტელ. 14—18. 119—ი.)

ექიმი
დოქ. კოხტ, მე ყრიხთავა
(ოტორინოლოგიიდან)
იღებს ავათმყოფებს საღამოს 5—7 საათ სასამართლოს ქუჩა № 52.
(თ. 581)

ექიმი ა. დავიდოვიანი
შინაგანი და ქალთა სნეულებანი. ექიმობა და გამოკვლევა ყველა თანამედროვე საშუალებებით. სპეციალურად: გულის, ფილტვების, კუჭ-ნაწლავების: ჭლექების და ნერვიულ სისტემის. რენტგენისა და ელექტრო-სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 და საღამოს 4—7 საათ. კრილოვის ქ. № ბინა 3. (471)

ექიმი ა. დ. კეკელია,
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება დილით 9—11 და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოვ"-ს პირდაპირ. ტელ. 14—26. (154—ი.)

ექიმი
პ. ზ. მართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიული სნეულებანი (სიფილისი „606" და 914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. სურამის ქ. № 9, ვედელის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (თ. 546)

ელექტრო მედიცინისა დოქ. ახალციხ-ტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა
ნ. ზ. მეგრაბიანი
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ჭლექების აპარაცია—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილით 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92. მიწის ძვრისაგან დაზარალებულებს ეძლევათ უფასოთ. (თ. 636

ექიმი
ზ. ი. მირიანაშვილი
შინაგანი სნეულებანი, მიღება საღ. 5—6 საათამდე, გარდა კვირისა. ანდრონიკოვის ქუჩა, № 74. ბინა № 1. ვაგზლის აფთიაქის ახლოს. (249)

ექიმი [illegible]
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებებით ავათმყოფებს დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (საავადმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—30. (თ.—2662.)

დაბრუნდა
ექიმი აბაშიძე
ღებულობს ავათმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და შარდების, ჭლექის ექიმობა „ტუბერკულინით" და „ფიბროლიზინით", ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914" და „606" შეშხაპუნებით. ქ. ხიმშიაშვილის სახლში. (კუ. 60)

კერძო სამკურნალო
ექ. დოხხინისა
(წყლიანი საწოლებით) მიხ. ქ. № 141
ტელეფ. 5—97
(სამხედრო სასწავლებლის წინ კინო-ტეატრ „ამილახ" გვერდით). ყოველგვარი სნეულებისანი ავადმყოფების მიღება სრული პანსიონი. ცალკე ოთახები
(თ. 213)

თვალის ექიმი
ზ. მ. ცხვედაძე
იღებს ავათმყოფებს დილით 1—3 საათამდე. იმერეთის ქუჩა № 11. [illegible] პირველი შესახვევი.
(თ. 2322)

ექიმი [illegible]
სპეციალურად სიფილისი და კანის (შეშხაპუნება „606" და „914" ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. [illegible] მისამართი: [illegible] ქუჩა № 33.

ამხანაგურ-მშენებელი სტამბა ვ. რუხაძისა, გაზეთის შესახვევი № 1.